კვლევა

ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის

სამოქალაქო ჯგუფების გენდერული საჭიროებების

ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ივნისი, 2015 წელი

ქუთაისი

კვლევა ჩატარდა ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის საკრებულოებთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ, პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ *ფარგლებში.*

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა Un Women დაფინანსებით.

1. შესავალი

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის განმარტებისათვის

სპეციალისტების განმარტებით, „გენდერული ბიუჯეტი - თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა დაინერგოს სამთავრობო პოლიტიკაში ინტერესთა დიფერენცირებადი აღრიცხვის პრინციპი სოციალურ-სქესობრივი ნიშნის მიხედვით“.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ზოგადად ბიუჯეტი კი მთავრობის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რადგანაც ფინანსების გარეშე მთავრობა წარმატებით ვერანაირ პოლიტიკას ვერ განახორციელებს.

გენდერული ბიუჯეტი უზრუნველყოფს გენდერული ცნობიერების დამკვიდრებას ცალკეულ პოლისებში და სხვადასხვა ინსტანციის ბიუჯეტებში. გენდერული ბიუჯეტი არ ნიშნავს, რომ მისი 50% ქალებს ეკუთვნით, ხოლო 50% მამაკაცებს. თუმცა განმარტება, რომ „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი არ ნიშნავს ცალ-ცალკე ბიუჯეტს ქალებისა და მამაკაცებისთვის“, მისი შინაარსის აღქმას ზოგჯერ საკმაოდ აძნელებს მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს გენდერული ბიუჯეტი და რა არის საჭირო მისი მიღებისათვის.

გენდერული ბიუჯეტის შემუშავებისას საჭიროა, ერთი მხრივ, ტექნიკური ცოდნა, რომელიც სამართლიანობის პრინციპების გატარებისკენ იქნება მიმართული, და ასევე, ამ პროცესში გავლენიანი ინსტიტუტებისა და ინტერესების ჩართვის ადვოკატირება და ორგანიზება. გენდერული ბიუჯეტი განსაკუთრებით აღიარებს იმ წვლილს, რომელსაც ქალები საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებისთვის გაიღებენ: აუნაზღაურებელ შრომას, რომელიც ქალის რეპროდუქციულ უნარსა და ქვეყნისთვის მომავალი თაობის აღზრდაში მდგომარეობს. გენდერული ბიუჯეტი ასახავს ურთიერთკავშირს სახელმწიფოს ვალდებულებების განხორციელებასა და სახელმწიფო რესურსების განაწილების, გამოყენებისა და მიღების პროცესებში.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი აღიარებს ბიუჯეტის განსხვავებულ გავლენას ქალებსა და კაცებზე. ის წარმოაჩენს რესურსების არათანაბარი გადანაწილების ნაკლოვანებებს და ხელს უწყობს ბიუჯეტის გარდაქმნას ინსტრუმენტად, რომელიც ამცირებს გენდერულ დისპროპორციებს.

ბიუჯეტის დაგეგმვა გენდერული კუთხით ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას საზოგადოებაში რესურსების უკეთ განაწილების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ზრდის მეშვეობით. დღესდღეობით გენდერული ბიუჯეტი ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. მიჩნეულია, რომ სწორედ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის შემადგენელ ნაწილს, ეფექტიანობის ზრდისა და კარგი მმართველობის

ხელშეწყობის მეშვეობით. გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრინციპების დანერგვა ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობის ზრდას საბიუჯეტო პროცესებში, რაც, საბოლოო ჯამში, ფინანსური პოლიტიკის დახვეწასა და განვითარებაში აისახება.
დღესდღეობით სულ უფრო მეტი ქვეყანა მსოფლიოში ნერგავს ბიუჯეტის გენდერული კუთხით შედგენის მექანიზმებს სხვადასხვა დონეზე.
მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალური პრობლემებისა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის აუცილებლობა განპირობებულია ადგილობრივ დონეზე სამართლიანობისა და საბიუჯეტო პოლიტიკის დახვეწის მიზნებიდან გამომდინარე. მუნიციპალიტეტებში არსებული საბიუჯეტო პროცესები აუცილებლად საჭიროებს გენდერული ანალიზის ელემენტების დანერგვას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურულ სრულყოფას, ქალებისა და კაცების, საზოგადოების სხვა ჯგუფების პრიორიტეტების დაფინანსების სამართლიანობის უზრუნველყოფის გზით. ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარებები და სხვა, აუცილებლად საჭიროებს სიღრმისეულ და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული კონკრეტული ცვლილებების შემუშავებას უახლოესი მომავლისათვის.

ადგილობრივ ბიუჯეტში ძალიან ხშირად არის პროგრამები ქალების, ახალგაზრდების, იგპ ჯგუფების, ხანშიშესულების, ეთნიკური უმცირესობების, შშმ ჯგუფების მხარდაჭერისათვის. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა ხასიათის დამოცულობისაა ამგვარი პროგრამები, როგორია დაფინანსება, რამდენად სამართლიანად არის განაწილებული ადგილობრივი რესურსები. ხშირად ირკვევა, რომ ბიუჯეტის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში დანაწილებული სახსრები არ ასახავს ბენეფიციართა ზუსტ საჭიროებებს. სწორედ ამ ხარვეზის გასწორების მცდელობაა გენდერული ბიუჯეტი, რომლის მთავარი მახასიათებელი არის ბიუჯეტის დაგეგმვა საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, და შემდეგ მაქსიმალურად გამჭვირვალე საბიუჯეტო პროგრამების მიღება, რომელიც მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით იქნება განხილული.
წინამდებარე კვლევა არის მცდელობა, უზრუნველყოს იმ საჭიროებების გამოვლენა, რომლებიც საფუძვლად დაედება ბიუჯეტის სოციალური ხარჯების, ზრუნვის პოლიტიკის განხორციელებისაკენ მიმართული პროექტებისა და პროგრამების შემუშავებას.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფები და რესპონდენტები განისაზღვრა კვლევის დამკვეთის - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარულიფონდი „სოხუმის“ მიერ. კვლევის საველე სამუშაოები ჩაატარეს ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა.
მოხდა მონაცემთა შეგროვება რაოდენობრივი და თვისობრივი ინფორმაციის მოპოვებით. რაოდენობრივი ინფორმაციის მისაღებად გამოიკითხა სამიზნე ჯგუფების 600 ბენეფიციარი. მათ შორის 510 ქალი, 90 კაცი.
თვისობრივი ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფი, 12 ჩაღრმავებული ინტერვიუ (მონაწილეთა მთლიანი რაოდენობა 131, მათ შორის - 85 ქალი, 46 კაცი).

საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 733 პირმა. მათ შორის 597-მა ქალმა, 136 კაცმა.
რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ - დევნილი და სოციალურად დაუცველი ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, მცირე მეწარმე ქალები.
თვისობრივი კვლევის ბენეფიციარები იყვნენ ახალგაზრდები, ინტელიგენციის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, ექსპერტები თვითმმართველობის, ეკონომიკის, განათლების, გენდერის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში.

კვლევის რეზიუმე

1. ქუთაისი

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ გამოავლინა საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს. გამოიკვეთა შშმ პირების, დევნილი მოსახლეობის, სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები, რომელთა ნაწილი მოკლევადიან, ნაწილი კი შედარებით გრძელვადიან გადაწყვეტას მოითხოვს.
აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო ხარჯების „გენდერული მიმართულებები“ - სოციალური დაცვა, ჯანდაცვა მიმდინარე ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა, თვითონ ბიუჯეტი შემუშავების პროცესში, მისი შინაარსი ამ კუთხით არ ყოფილა განხილული და ეს ღიად დაფიქსირდა კიდეც.
ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის დასახმარებლად, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს ყოველთვის არ ეფუძნება ამ ჯგუფების საჭიროებათა შესწავლას. ითვლება, რომ „გენდერულად ნეიტრალური ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა ჯგუფის საჭიროებას“.
სამიზნე ჯგუფების შესწავლის, ასევე დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამების აუცილებლობა, ინვესტიციების მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნის ადგილობრივი ღონისძიებების საჭიროება.
ხაზგასმული იყო ქალაქის საკურორტო პოტენციალის განვითარების აუცილებლობა, რომელიც, კვლევის მონაწილეთა აზრით, პირდაპირ უკავშირდება გენდერულ საკითხებს, რადგანაც არის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა, განსაკუთრებით - ქალებისათვის.
ყურადღება დაეთმო სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფის საკითხს. საბავშვო ბაღების სერვისის გენდერულ ჭრილში განვითარების, პერსონალის გენდერული განათლების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.
გამოითქვა სურვილი, საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებისას სრულად იქნას გამოყენებული ადგილობრივი ინტელექტუალური პოტენციალი, ჩართული იქნენ დარგის სპეციალისტები, ექსპერტები.

პრობლემად იყო აღქმული უკონტროლო მიგრაცია. ითქვა, რომ საზოგადოების სიჯანსაღეს საფრთხეს უქმნის უდედოდ გაზრდილი მოზარდების ფენომენი. გამოითქვა წუხილი ახალგაზრდების მზარდი როგორც გარე, ასევე შიდა მიგრაციის გამოც. ითქვა, რომ ამის შეჩერება შეიძლება ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებით, წარმატებული სტუდენტების წახალისებით, რისი პრეცედენტებიც არის რიგ თვითმმართველობებში.
აღნიშნული იყო, რომ, მიუხედავად საკითხის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და გარკვეული პრეცედენტების არსებობისა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული შშმ პირთა საჭიროებებზე და ეს საკითხი მუდმივ დინამიკაში უნდა იყოს. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის მათი საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით სპეციალური პროგრამების შემუშავების საკითხი, ამ კუთხით თვითმმართველობა უკვე თანამშრომლობს რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
ყურადღება გამახვილდა სეზონური ავადმყოფობების პრევენციის ღონისძიებების, ქალაქში საკარანტინო მცენარეების საშიში კერების ლოკალიზების აუცილებლობაზე.
ხაზი გაესვა მოხუცებისათვის ღირსეული სიბერის ხელშეწყობის ადგილობრივ პასუხისმგებლობას. ქალთა უფლებების დაცვის საკითხებს, განსაკუთრებით - ოჯახში ძალადობისაგან დაცვის კუთხით.

2. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებათა კვლევამ თვალსაჩინო გახადა, რა პროგრამებსა და პროექტებს მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტი, რამდენად აკმაყოფილებს ის მოქალაქეთა პირველი რიგის საჭიროებებს. რომელი სოციალური ჯგუფების ინტერესების და საჭიროებების მოგვარება დგას დღის წესრიგში და რა უნდა გაკეთდეს მათი გრძელვადიანი განვითარების მიმართულებით.
გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხარჯებში გათვალისწინებული იყო ბევრი ახალი პროგრამა, რომელიც მიმართული იყო სწორედ ადგილობრივი საჭიროებებისაკენ. მაგალითად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების პროგრამა.მიუხედავად იმისა, რომ მწირი ადგილობრივი რესურსები, ძირითადად, იძლევა მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტის მქონე ღონისძიებების დაკმაყოფილების საშუალებას, გარკვეული პროგრამები არის გათვლილი გრძელვადიან ეფექტზე.
კვლევის სამიზნე ყველა ჯგუფისათვის საერთო იყო პრობლემა - დასაქმების მწირი შესაძლებლობა. ითქვა, რომ მუნიციპალურ პროგრამებში სოფლის მეურნეობის სფერო უნდა იქნეს განსაკუთრებით გათვალისწინებული, პრიორიტეტი უნდა გახდეს სასათბურე მეურნეობები, საკონსერვო ქარხნები. ხაზგასმული იყო, რომ საძოვრები უნდა იყოს დაცული, რათა ხელი არ შეეშალოს მესაქონლეობის განვითარებას,

გამოიკვეთა პოზიციები, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი არსებული კანონმდებლობით (გარდა ქ. თბილისისა) ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას.უპირველესი ამოცანაა უმუშევრობის დონის შემცირება, ანუ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ბიზნესის განვითარებისათვის შესაფერისი გარემო, ეცადოს მოიზიდოს პოტენციური ინვესტორები. ითქვა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, არის გარკვეული დაინტერესება ჩინელების მხრიდან აგრარულ და საკურორტო სფეროში, კერძოდ კურორტ მენჯის მიმართ, რაც გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს.

საჭიროებების თვალსაზრისით გამოიკვეთა პოზიცია, რომ სასურველი იქნებოდა შემდგომი წლიდან პარალიზებულ, დავრდომილ ავადმყოფებთან პალიატიური ღონისძიებების დაფინანსება.

გამოიკვეთა იძულებით გადაადგილებულთა თემის პრობლემები. ითქვა, რომ ისინი უნდა მოხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ფოკუსში. ხაზგასმული იყო შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის, მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხი.

თვალსაჩინოა საკითხი, რომ არსებობს პრობლემები სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხის კუთხით. გამოიკვეთა ამ მიმართულებით საჭირო ღონისძიებები: ინფრასტრუქტურის გამართვის, კვების, პერსონალის კვალიფიკაციის, განათლების, მათ შორის - გენდერული განათლების უზრუნველყოფის საკითხი, რომლის საფუძველი ჩაყრილია სენაკის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით.

ხაზგასმული იყო ბიუჯეტის გენდერული პრინციპებით განაწილების და ქალთა და ზოგადად მოქალაქეთა მეტი მონაწილეობის აუცილებლობა.

საუბარი ხშირად იყო ახალგაზრდების საჭიროებებზე. მათი წახალისებისა და მიგრაციის პრევენციის, ადგილზე შესაბამისი პირობების შექმნის აუცილებლობაზე.

3. ოზურგეთი

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა რეგიონის უმძიმესი სოციალური ფონი და სამიზნე ჯგუფების (დევნილები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები) დამოკიდებულება სახელმწიფო შემწეობებზე. ერთი მხრივ, დაფიქსირდა ამ ჯგუფებისთვის დახმარების გაწევის აუცილებლობა და რიგ შემთხვევაში მისი გაზრდის აუცილებლობა. მეორე მხრივ, გამოიკვეთა პოზიცია, რომ ეს დამოკიდებულება აფერხებს მოქალაქეების განვითარების პროცესს. სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელთა მტკიცებით, აუცილებელია სოციალურად დაუცველთათვის სხვა რეგულაციები, ანუ, დაუცველის სტატუსი მას არ აძლევს განვითარების შესაძლებლობას. სოციალური დახმარების დაკარგვის შიშით, ის არ ფიქრობს განვითარების არც მოკლევადიან, არც გრძელვადიან პერსპექტივაზე.

გამოკითხულთა უმეტესობა საუბრობს, რომ მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროგრამების შესახებ, ინფორმაციას ადგილობრივი მედიით, ტელევიზიითა და თემის ცენტრში მოსმენილი ინფორმაციებით ღებულობს. დანარჩენი იცნობს მხოლოდ იმ პროგრამებს, რომელიც უშუალოდ მას

უკავშირდება. თუმცა არ არის ჩართული ბიუჯეტის განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოიკვეთა ხედვა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის გრძელვადიანი პერსპექტივა, ძირითადად, არ არის გათვალისწინებული. მხოლოდ ერთჯერადი დახმარებებით იფარგლება, რაც რეგიონის მომავალ განვითარებაზე გავლენას ვერ იქონიებს. ასეთ შემთხვევაში ძნელია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაზე საუბარი.

ცხადი გახდა, რომ ოზურგეთის ბიუჯეტში არა მხოლოდ მექანიკურად არის გათვალისწინებული გენდერული ხარჯები, არამედ გაცნობიერებულად მოხდა რიგი საკითხების შეტანა ბიუჯეტში (მაგალითად - წარჩინებული სტუდენტების და მათი სკოლების წახალისება, 150 000-ზე მეტი ქულის მქონე პირების ადგილობრივ ჯანდაცვის პროგრამებში ჩასმა, გენდერული განათლების ხელშეწყობის პროექტების მხარდაჭერა), რაც ნიშნავს იმას, რომ გენდერული ბიუჯეტი ჩანასახში არსებობს და აუცილებელია ამ სასარგებლო პრაქტიკის შემდგომი განვითარება.

კვლევის მასალებით, სამიზნე ჯგუფებს გაცნობიერებული აქვთ, რა ღონისძიებები დაეხმარებათ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მიღებულ პასუხებში ფიგურირებს „სახელმწიფო დახმარებების გაზრდის საკითხი“. მაგრამ იქვე არის მოთხოვნები, მოხდეს სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგების განვითარება-ხელშეწყობა. მაგალითად - მეჩაიეობის, მეთხილეობის, ადგილობრივი რესურსებით გაიხსნას ხილის გადამამუშავებელი საწარმოები, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება. რესპონდენტები თვლიან, რომ სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსება აუცილებელია მათი არსებობისთვის. მათი ნაწილი ითხოვს უპროცენტო სესხს, რათა შეძლონ გავერანებული ფართობების დამუშავება. გააზრებული იყო მცირე ბიზნესის წახალისების აუცილებლობა. ამისათვის საჭიროდ იქნა მიჩნეული საგადასახადო შეღავათები მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შესაქმნელად.

ხაზგასმული იყო შშმ პირთა საჭიროებები და აქვე მოხდა იმ ღონისძიებების შეთავაზება, რაც მათ მდგომარეობას შეამსუბუქებს: უკვე არსებულ პროგრამებში ამ კონტინგენტის ინტეგრირება, არსებული დღის ცენტრის პროფილის შეცვლა და გამაჯანსაღებელი სერვისი შესაბამისი მომსახურე პერსონალის უზრუნველყოფით. ძალიან ხშირად იყო ყურადღება გამახვილებული ქალების მონაწილეობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი განვითარების პროგრამების აუცილებლობაზე. კვლევის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის პრობლემა და მისი აღმოფხვრისათვის ინფორმირების, განათლების, შესაბამისი პროექტების მხარდაჭერის აუცილებლობა.

ძირითადი დასკვნები

კვლევის შეფასება

1. ქუთაისი

ქუთაისში ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ 45 ადამიანის მონაწილეობით. მათ შორის - 27ქალი, 18 კაცი.
გამოიკითხა 200 რესპონდენტი: იგპ პირები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, სოციალურად დაუცველები, მათ შორის - 183 ქალი, 17 კაცი.
სულ კვლევაში ჩართული იყო 245 პირი. მათ შორის - 210 ქალი, 35 კაცი.
ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ გამოავლინა შშმ პირების, დევნილი მოსახლეობის, სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები, რომელთა ნაწილი მოკლევადიან, ნაწილი კი შედარებით გრძელვადიან გადაწყვეტას მოითხოვს.

აღნიშნული იყო, რომ ქუთაისში არის საბიუჯეტო ხარჯების „გენდერული მიმართულებები“ - სოციალური დაცვა, ჯანდაცვა და ის წინა წლებთან შედარებით მიმდინარე ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ თვითონ ბიუჯეტი შემუშავების პროცესში, მისი შინაარსი ამ კუთხით არ ყოფილა განხილული. რესპონდენტების ინფორმაციით, ეს ღიად დაფიქსირდა კიდეც. *„რაც შეეხება ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტის გენდერულ მგრძნობიარობას, ის არ არის ორიენტირებული ამ მიმართულებით. და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მისი განხილვის დროს ქუთაისის მერიაში, მაგალითად, იყო გაცხადებული, რომ ამ თვალსაზრისით ბიუჯეტი არ განიხილება“.*

ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის დასახმარებლად, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ყოველთვის არ ეფუძნება ამ ჯგუფების საჭიროებათა შესწავლას. ითვლება, რომ გენდერულად ნეიტრალური ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა ჯგუფის საჭიროებას. გამოიკვეთა ტრადიციული შეხედულება: *„ჩვენი აზრით, გენდერული ბიუჯეტი გულისხმობს იმას, რომ ის თანაბრად არის ორიენტირებული ორივე სქესის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, თუ ბიუჯეტი იქნება ფოკუსირებული მთლიანად საზოგადოებაზე, მაშინ ის ასევე იქნება ფოკუსირებული ორივე სქესის საჭიროებებზე.“*

თუმცა იყო სხვა პოზიციებიც. რიგი ექსპერტების აზრით, *„გენდერული ბიუჯეტის იდეა, ვფიქრობთ, თავისუფლად ჯდება პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში, როდესაც აქცენტი კეთდება ცალკეული საინტერესო იდეის, პროექტის, პროგრამის დაფინანსებაზე, რასაც, როგორც წესი, უკეთეს საბიუჯეტო წესრიგამდე მივყავართ, საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის დაწესების ფართო შესაძლებლობებით (მათ შორის გენდერულ ჭრილში)“.*

კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს მათი აზრით ყველაზე ეფექტური ხარჯები: *„ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ექსპლუატაციისათვის გაწეული ხარჯები უდაოდ არის ბიუჯეტის ყველაზე ეფექტური ხარჯი, აგრეთვე ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი და საზოგადოებრივი უსაფრთხოება“.*

სამიზნე ჯგუფების შესწავლის, ასევე დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამების აუცილებლობა. ინვესტიციების მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნის ადგილობრივი ღონისძიებების საჭიროება. *„ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა*

დაისახოს ადამიანთა დასაქმების პოლიტიკა, როგორც პრიორიტეტული მიმართულება, შექმნას უმუშევარ თანაქალაქელთა კვლევის ცენტრი. მოახდინოს ამ ადამიანების რეგისტრაცია მათი პროფესიული გამოცდილებების მიხედვით და მოიძიოს სამუშაო ადგილები მათ დასასაქმებლად".

ხაზგასმული იყო ქალაქის საკურორტო პოტენციალის განვითარების აუცილებლობა, რომელიც კვლევის მონაწილეთა აზრით, პირდაპირ უკავშირდება გენდერულ საკითხებს, რადგანაც არის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა, განსაკუთრებით - ქალებისათვის. *„სერიოზული ყურადღებაა დასათმობი ქალაქის ინფრასტრუქტურის, იერსახის მოწესრიგებისათვის ტურისტების მოზიდვის მიზნით. კულტურა, ღირსშესანიშნაობების გაცნობა, პროპაგანდა და ტურისტული ინფრასტრუქტურა ქუთაისისთვის მნიშვნელოვანი საკითხებია. ქალაქი უცხოელი ტურისტების მისაღებად მზად არ არის. არანაირი მომსახურება არ არსებობს. აუცილებელია თუნდაც პატარა სტენდების გაკეთება უცხო ენაზე. ტურისტებისთვის ელემენტარულად გადაადგილების საშუალების მოწესრიგება, მომსახურების სერვისების შექმნა. ღამის საათებში სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა".* იყო მოსაზრებები, რომ აუცილებელია მისათითებელი ნიშნების დამონტაჟება გაჩერებებზე. *„ამ ეტაპისთვის ქალაქში არც ერთ გაჩერებაზე არაა ასეთი ნიშნები. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, სად რომელი ტრანსპორტი ჩერდება. ეს ასევე მნიშვნელოვანია ტურისტების მიმოსვლისათვის".*

ყურადღება დაეთმო სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფის საკითხს. საბავშვო ბაღების სერვისის გენდერულ ჭრილში განვითარების, პერსონალის გენდერული განათლების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

„უნდა იყოს გრძელვადიანი გადასამზადებელი პროგრამები ბაგა-ბაღის აღმზრდელთათვის გენდერულ ჭრილში. ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტების დანერგვა: გამიჯნული სანიტარიული წერტილები, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული სკოლამდელთა და მშობელთათვის. უსაფრთხოების კუთხით სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. კატეგორიულად, კომპეტენტური ექიმებისა და სპეციალისტების თანხლებით გადასახედია სკოლამდელთა კვების რაციონი,მასში შემავალი პროდუქტები; სამჯერადი კვება კარგია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს რაციონის შემცირების ხარჯზე, მოზარდს უნდა მიეწოდის ორგანიზმის ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი საკვები თანმიმდევრულად და ჩანაცვლებით".

გამოითქვა სურვილი, საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებისას სრულად იქნას გამოყენებული ადგილობრივი ინტელექტუალური პოტენციალი, ჩართული იქნენ დარგის სპეციალისტები, ექსპერტები.

პრობლემად იყო აღქმული უკონტროლო მიგრაცია. ითქვა, რომ საზოგადოების სიჯანსაღეს საფრთხეს უქმნის უდედოდ გაზრდილი მოზარდების ფენომენი. აღინიშნა ახალგაზრდების მზარდი როგორც გარე, ასევე შიდა მიგრაციის შესახებ. ითქვა, რომ ამის შეჩერება შეიძლება ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებით, წარმატებული სტუდენტების წახალისებით, რისი პრეცედენტებიც არის რიგ თვითმმართველობებში. *„განათლებაზე ზრუნვა უნდა გახდეს პრიორიტეტული. ადგილობრივი თვითმმართველობა დაინტერესდეს საჯარო სკოლების*

ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობით, გამოიყოს თანხები საჯარო სკოლებში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების ხელშესაწყობად, მათი გამოგონებების, ინოვაციების, სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის მქონე პროექტის მხარდასაჭერად".

„მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ახალგაზრდული პროგრამების გააქტიურება, შეღავათების გათვალისწინება სტუდენტებისათვის. ძალიან დიდი მაჩვენებელია ქალაქიდან ახალგაზრდების მიგრაციის და ვფიქრობთ, რომ ასეთი პროგრამების ამუშავება ამ პროცესს მეტ-ნაკლებად შეაჩერებს".

აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად საკითხის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და გარკვეული პრეცედენტების არსებობისა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული შშმ პირთა საჭიროებებზე და ეს საკითხი მუდმივ დინამიკაში უნდა იყოს. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის მათი საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით სპეციალური პროგრამების შემუშავების საკითხი, ამ კუთხით თვითმმართველობა უკვე თანამშრომლობს რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თვითონ შშმ პირთა ჯგუფი ასახელებს იმ აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებიც მათ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ძალიან ბევრი მათგანი შრომისუნარიანია და დასაქმების სურვილი გააჩნია: *„ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა ნივთისგან ნაკეთობების გაკეთება, კარგი იქნებოდა, თუ ადგილობრივი ხელისუფლება გაითვალისწინებს ამას და შექმნის საწარმოს, სადაც ჩვენისთანა ადამიანები გაერთიანდებიან და დასაქმდებიან. რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურებით... ამ ტიპის სამუშაო ჩვენც ძალიან დაგვეხმარება როგორც ფინანსურად, ისე მორალურად". „კარგი იქნება, თუ ხელს შევუწყობთ ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციას, რაც არ უნდა ვთქვათ შშმ-თა საზოგადოება ინტეგრირებულიაო, ეს ასე არ არის... ჩვენ მაინც ვგრძნობთ გარიყულობას". „კარგი იქნება, შეღავათებს თუ დაგვიწესებენ გადასახადებზე (მხოლოდ წყლის გადასახადზე გვაქვს შეღავათი)".*

სამიზნე ჯუფები გაგებით ეკიდებიან სახელმწიფოს შეზღუდულ რესურსებს, მაგრამ ფიქრობენ, რომ არსებობს გამოსავალიც: *„დაუსაქმებელი მოსახლეობის დასაქმებას სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს და, ძირითადად, ეს კერძო სექტორმა უნდა გააკეთოს, თუმცა, თავის მხრივ, კერძო სექტორს სახელმწიფოსგან უნდა ჰქონდეს ხელშეწყობა".*

პოზიტიურად იყო შეფასებული პრაქტიკა, რომლითაც საკრებულოს ზოგიერთ დეპუტატს თავისი ფეისბუქ-გვერდი აქვს და იქ შუქდება მათი შეხვედრები ამომრჩევლებთან, შეიძლება მათთან ინტერაქტიული ურთიერთობა.

აღნიშნული იყო ისიც, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა ცდილობს, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩართოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფი მიმდინარე პროცესებში და გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ კომისიებში ყველას აქვს უფლება, დაესწროს სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა განხილვაში. აგრეთვე ცდილობს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესებას, დახვეწას და მოქალაქეთათვის გამჭირვალე და ხარისხიანი მომსახურების გაწევას".

გენდერული საკითხების ნუსხაში მოხვდა კულტურის სფეროს მუშაკების მიმართ თვითმმართველობის პროგრამების მიმართვა. ითქვა, რომ სასურველი იქნება მცირე

გრანტების გამოყოფა საინტერესო კულტურული პროექტებისათვის, შემოქმედებითი კონკურსების დაფინანსება, დარგის ღვაწლმოსილთა წახალისება და ა. შ.

გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ მათი ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზია ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა დღევანდელი საბაზრო სისტემის პირობებში. *„საერთოდ, დღეს ადამიანთა უმრავლესობას ესაჭიროება პროფესიული გადამზადება, ტრენინგები, რათა გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები.“* იყო წინადადება საგამომცემლო საქმიანობის წახალისების კუთხით: *„საგანმანათლებლო სახელმძღვანელოების მოძიება არცთუ ისე ადვილია. თვითდაფინანსებით წიგნის გამოცემა ძალიან გაჭირდა, სასურველია კვალიფიციური კადრების მხარდაჭერა-დაფინანსება. საგანმანათლებლო წიგნის გამოცემის სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ ... სტუდენტებს უჭირთ სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენა, მიმართავენ ქსეროქსს, რაც არაკომფორტულიცაა და ჯანმრთელობისთვის მავნეც. ვფიქრობ, არ იქნება ურიგო ამ კუთხით საგრანტო პროგრამის შემუშავება“.*

ფოკუს-ჯგუფის მონაწილენი ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ნაკლებინფორმირებულნი არიან, როგორც საქართველოს სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის პარაგრაფების ფარშემო. ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სტუდენტების ჯგუფმა სურვილი გამოთქვა ქალაქის მერის, ვიცე მერების, ეკონომიკური და ფინანსური სამსახურების ხელმძღვანელებთან შეხვედრის, რათა მათ სტუდენტებს გააცნონ 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტები. მათ აქვთ სურვილი, რომ გარკვეულ ვადაში შეძლონ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა და წინადადებების მომზადება.

სტუდენტებში გამოიკვეთა აზრი, რომ ინფორმაციის წყარო უნდა იყოს არა ერთი და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინტერნეტსივრცეში მოძიებული სტატიები არის მოკლე ნიუსის სახის, ამიტომ სასურველია დაიბეჭდოს საგაზეთო სტატიები ადგილობრივ მედიაში. მეტი ინფორმაციული ველი დაუთმონ ადგილობრივმა ტელევიზიებმა. ასევე მერიის ვებ-გვერდზე დადებული მასალები იყოს განახლებული. დაიდოს ადგილობრივი ბიუჯეტის როგორც ძველი, ასევე ახალი რედაქცია, რაც მარტივად მისცემს მათ შედარების საშუალებას.

სტუდენტებისათვისაც გახდა ცნობილი, რომ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ფოიეში გამოტანილი საინფორმაცი სტენდით, ასევე საგაზეთო გამოცემით ენციკლოპედია „ჩემი ქუთაისი“, რაც გასული წლიდან დღემდე მერიასთან წარმოებული კომუნიკაციის შედეგია.

ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებიდან დადებითი თვალსაზრისით სტუდენტებმა გამოკვეთეს პროგრამა კორპუსი, პანდუსები (თუმცა ხარვეზიც აღნიშნეს), უსაფრთხოების კუნძულები, ქალაქის სისუფთავესთან დაკავშირებული საკითხები. ასევე აღნიშნეს მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, საბინაო ინფრასტრუქტურის სამსახურის საქმიანობა და მათ მიერ შექმნილი ფეისბუქ გვერდები, რაც ადგილობრივი უბნის მკვიდრთათვის ინფორმაციის მიღების დამატებით წყაროს წარმოადგენს.

თუმცა აქვე აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით დასამატებელია შუქნიშნები, მათ შორის ხმოვანი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფეხით მოსიარულეებს. კერძოდ, გამოიყო ე.წ სტეკლოტარას გზაჯვარედინი თავისი მიწისქვეშა გადასასვლელითა და მიწისზედა პრობლემებით. აღინიშნა ტროტუარების სავალალო მდგომარეობა, როგორც

დაზიანების, ასევე მანქანების დგომის თვალსაზრისით, რაც ქვეითებისთვის გადაადგილებას აბრკოლებს. გამოკვეთეს სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების განთავსების საჭიროება, განსაკუთრებით საჯარო სკოლებთან და ბაგა-ბაღებთან.

კვლევის დროს მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ბაზრების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემა. მართალია, დასუფთავების საკითხში დაფიქსირდა დადებითი ტენდენციები, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ როგორც ქალაქის ცენტრალურ უბნებში, ასევე გარეუბნების შედარებით მოფარებულ ადგილებში შესამჩნევია სარეველა ბალახების სიმრავლე და ანტისანიტარია. ყურადღება გამახვილდა ქალაქში საკარანტინო მცენარეების საშიში კერების ლოკალიზების აუცილებლობაზე. *„ტროტუარებზე, მიუვალ ადგილებში, ქალაქის ცენტრშიც კი სარეველები და მათ შორის საკარანტინო და ჯანმრთელობისათვის საშიში მცენარეებია მოდებული“*.

დასახელდა კონკრეტული ადგილები პარლამენტის, ავტოსადგურებისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიებზე.

საუბარი იყო შიდა ტრანსპორტის პრობლემაზე: გაუმართავ ტრანსპორტზე, განრიგის დაუცველობასა და შშმ პირებისათვის ტრანსპორტით გადაადგილების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს არა მარტო მაწანწალა ძაღლების, არამედ უპატრონოდ გამოშვებული მსხვილფეხა პირუტყვის პრობლემაც.

კვლევის პროცესში რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს: ესენია შშმ პირები, დევნილები - სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით (კონკრეტულად დასახელდა ავტოქარხნის ბაღში განლაგებული კომპაქტური ჩასახლება), ეთნიკური უმცირესობები, ქუჩის ბავშვები (საუბარი შეეხო მათ საცხოვრებელ პირობებს, ანტისანიტარიას), ახალგაზრდული საჭიროებები (კინოთეატრი, საცურაო კომპლექსი, სპორტული კლუბების ხელშეწყობა, რაც შეიძლება დაუკავშირდეს ტურიზმს და პარალელურად გამოიწვიოს მისი განვითარებაც) და ქალთა მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პრიორიტეტად მიჩნეული იყო სეზონური ავადმყოფობების პრევენციის ღონისძიებები.

ყველაფრის საწყის პრობლემად დასახელდა უმუშევრობა და სხვა ბევრჯერ აღნიშნულ მიდგომებთან ერთად თვითმმართველობის როლი დაინახეს იმაში, რომ შეიქმნას საინფორმაციო ბაზები პროფესიული ნიშნით. ანუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლოს სპეციალობების მიხედვით მოიძიოს ინფორმაცია სამუშაოს მაძიებლებზე, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებზე და ა. შ. თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულმა ფირმა ხელშეკრულებაში ჩადოს გარკვეული რაოდენობის ადგილობრივების დასაქმება. თვითმმართველობას ასევე შეუძლია იზრუნოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და გადამზადებაზე. ბაზების შექმნის პროცესში და ინფორმაციის მოძიებაში სასურველია დაკავებული იყოს სტუდენტები, რაც მათთვის დასაქმებაცაა და გარკვეული გამოცდილების მიღებაც.

სამიზნე ჯგუფები შეეხნენ ოჯახში ძალადობის თემას. მათ გამოკვეთეს, რომ სწორად და მეტად ინფორმირებული საზოგადოება განაპირობებს დაცულობას. აქაც დასახელდა უმუშევრობისა და ნაკლებად რეალიზებულობის პრობლემა. გამოსავლის სახით საუბარი იყო ინფორმაციის

მრავალმხრივ მიწოდებაზე, ფილმების, ბროშურების, სატელევიზიო გადაცემების სახით. საკმაოდ საინტერესო მოსაზრება იყო ფსიქოლოგებთან, სოციოლოგებთან და დაზარალებულ ჯგუფებთან თემატური შეხვედრების ორგანიზებაზე, რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთოს თვითმმართველობა. ერთხმად აღიარეს, რომ პრობლემა მნიშვნელოვანია და კომპლექსური მუშაობაა საჭირო მის დასაძლევად. მეტი ეფექტური სამუშაოა გასაწევი სამართალდამცავებისგანაც და გასააქტიურებელია საზოგადოება. თუმცა იმის მაგალითებიც იქნა მოყვანილი, როცა საზოგადოების ჩართულობამ აგრესია გამოიწვია დაზარალებულებში.

იყო საინტერესო მოსაზრებები კერძო სექტორის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით: *„რაღაც სოციალური ინიციატივები უნდა არსებობდეს ბიზნესის დასაინტერესებლად, რომ მათაც თავიანთი წვლილი შეიტანონ ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციისათვის“.* ითქვა, რომ დასარეგულირებელია დაზარალებულ ბავშვთა მიმართ ცალკე ინსტიტუციის ჩამოყალიბება.

საუბარი შეეხო მოხუცებისათვის ღირსეული სიბერის ხელშეწყობის ადგილობრივ პასუხისმგებლობას: *„იქნებ მოხერხდეს მოხუცებისათვის შეხვედრის ადგილების მოწყობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც საშუალება მიეცემათ საინტერესოდ გაატარონ დრო საუბრში, ჭადრაკის, ნარდის, დომინოს თამაშში“.*

ნათქვამი იყო, რომ სოციალური ტიპის ხარჯები, მათი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ძნელი შესაფასებელია. *„სამომავლოდ, კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ბიუჯეტები მეტ ყურადღებას გაამახვილებენ პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროექტებისა თუ პროგრამების დაფინანსებაზე, რაც დადებითად შეიძლება აისახოს დასაქმების მაჩვენებლის და, შესაბამისად, სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე“.*

ხაზგასმული იყო იმ დარგების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ქალების შრომას ითხოვს უფრო მეტად (მაგ.: ე.წ. მსუბუქი, საკონდიტრო, საკონსერვო, კვების მრეწველობა და ა.შ.), ქალების იმიგრაციის შემცირებასა და მათი სოციალური პოზიციების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. დაფინანსდეს მიზნობრივი პროგრამები ამ მიმართულებით.*„მომავალში, სოციალური ტიპის ხარჯები უნდა ეყრდნობოდეს მოკვლევას და მის შედეგად მიღებულ გამოწვევებს. პროგრამები, პირველ რიგში, უნდა იყოს მიმართული ჯანმრთელობის დაცვის, მრავალშვილიანი ოჯახების (ვინც ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ) დასახმარებლად“.*

„მოქალაქეთა გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რომ გაუმჯობესდეს, ჩვენი აზრით, დახმარებები კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ გაიზარდოს ადამიანთა დასაქმება. არ შეიძლება მეტად ვიყოთ სახელმწიფოსგან დამოკიდებული, და რომ არ იყოს დამოკიდებული, უნდა შემუშავდეს გეგმა მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციათა მოზიდვისა. მხოლოდ ეს არის პრობლემის გადაწყვეტა“.

რაც შეეხება უმუშევრობის შემცირებას ქალებს შორის, იყო მოსაზრებები, რომ „ეს დღეის მდგომარეობით არის ქალთა მცირე ბიზნესის განვითარება და მისი ხელშეწყობა - დაბალპროცენტიანი კრედიტით, არანაკლებ 3 წლით გადასახადებისგან განთავისუფლება, ქალთა ბიზნეს-სწავლების ჯგუფები, რომელიც განხორციელდება სახელმწიფო პროგრამით“.

ქუთაისი. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ქუთაისში ჩატარებული კვლევის ფარგლებში მოპოვებული იქნა რაოდენობრივი ინფორმაცია. გამოკითხვა ჩატარდა 200 პირთან. სამიზნე ჯგუფები იყვნენ იძულებით გადაადგილებული ქალები, ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები.
ასაკობრივი კატეგორია - 18 დან 70 წლამდე, გენდერული სურათი 183 ქალი, 17კაცი.

მიღებულმა მასალებმა გვიჩვენა, როგორია სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის დონე ადგილობრივი პროგრამების იგვლივ, რას თვლიან ისინი ყველაზე აუცილებელ ღონისძიებად მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. რა სახის საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება აქვთ; რა შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში; ოჯახში ძალადობისგან დაცვის კუთხით რომელი სტრუქტურის საქმიანობას მიიჩნევენ უფრო აქტიურად.
აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია აქვს გამოკითხულთა 9,5%. გარკვეულწილად ინფორმირებული არიან სოციალურად დაუცველები 84%. მხოლოდ მათი 4% აცხადებს, რომ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს საბიუჯეტო პროგრამებზე.
ყველაზე არაინფორმირებულ სეგმენტს წარმოადგენდნენ ახალგაზრდები. პასუხი „ინფორმაცია არა მაქვს“ აირჩია 42%-მა.
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს გამოკითხულთა მხოლოდ 19%. არ აკმაყოფილებს სამიზნე ჯგუფების 55.5%-ს. პროგრამების რაოდენობისა და მიზნობრიობის შეფასება უჭირს გამოკითხულთა 25.5%-ს. ყველაზე მეტად უკმაყოფილო აღმოჩნდა სოციალურად დაუცველების ჯგუფი (78%).
სამიზნე ჯგუფები ხაზს უსვამენ ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობას. ამ საკითხში ჩამოყალიბებულია გამოკითხულთა 55,5%. გამოკითხულთა 36% მიიჩნევს, რომ ეს მეტ-ნაკლებად არის აუცილებელი. მხოლოდ 2.5% არ ანიჭებს საკითხს არანაირ მნიშვნელობას. კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა ახალგაზრდების 14%-ს.
ადგილობრივი პროგრამების დაფინანსების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ჯანმრთელობის დაცვის 73%, სოციალური დაცვის (61%) განათლების (63.5%) პროგრამები. ეკონომიკური განვითარება (49.5%), საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (29%). მათი გადასახედიდან ინფრასტრუქტურული პროექტები (18.5%) შედარებით ნაკლებად ასახავს მათ საჭიროებებს.
კითხვაზე, ვის საჭიროებებს უნდა ასახავდეს ადგილობრივი ბიუჯეტი ყველაზე უფრო მეტად, გამოკითხულთა პასუხებში პირველ რიგში დასახელდა დევნილები (66.5%). შემდგომ - ახალგაზრდა ოჯახები (48.5%); სოციალურად დაუცველები (44.5%).), შშმ პირებს (32.5%). მარტოხელა მშობლების საჭიროებები დაფიქსირდა 31 პასუხში (15.5.%). აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველების ჯგუფში საერთოდ არ იქნა აღნიშნული ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები (0%) და პირიქით. ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ 2% აღნიშნავს სოციალურად დაუცველების საჭიროებებს.

კვლევის რესპონდენტებმა დაასახელეს სამი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. „დასაქმება“ იყო ყველაზე ხშირად გაცემული პასუხი, საერთო ყველა ჯგუფისათვის (91%). დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შრომის პირობების დაცვის საკითხს (74.5%). საკმაოდ ხშირად იყო დასახელებული საბინაო პირობების გაუმჯობესება (54%), კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობა სავარაუდო პასუხად აირჩია ახალგაზრდების მხოლოდ 24%-მა, მაშინ, როცა ამ საჭიროებას სასიცოცხლო საჭიროებად ასახელებს სოციალურად დაუცველების 78%.

ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ მიზეზად ყველაზე ხშირად დასახელდა სასტარტო კაპიტალის არქონა (81%), პრობლემა, რომ სახელმწიფოსგან არ არის შესაბამისი ხელშეწყობა (52.5%). ეს პასუხი ყველაზე ხშირად დაფიქსირდა იგპ-თა ჯგუფში (86%). სოციალურად დაუცველების ჯგუფში - (64%). საკმაოდ ხშირად დასახელდა დაბალანაზღაურებადი სამსახური (50%).

რეპროდუქტიულ სექტორში გაწეული შრომის წახალისება აუცილებლად მიაჩნია გამოკითხულთა 83%-ს. ამ საკითხში ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის ახალგაზრდების 32% და ეთნიკური უმცირესობების 24%. სოციალურად დაუცველების 100% მიიჩნევს ამ საკითხს მნიშვნელოვნად.

ქალებში უმუშევრობის შემცირების ხელშემწყობ გარემოებად გამოკითხულთა 83% მიიჩნევს სამუშო ადგილების შექმნას. დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრების აუცილებლობა ხაზგასმული იყო 75% მიერ. ადგილობრივი ტურიზმის განვითარება დასახელდა 48%-ის მიერ. იქნა დასახელებული მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობა (43.5%). უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას, როგორც ქალებისთვის უმუშევრობის შემცირების საშუალებას, უყურებს გამოკითხულთა 33.5%.

პროფესიული გადამზადების კვალიფიციური კურსების საჭიროება დაასახელა გამოკითხულთა 36.5%-მა. კვალიფიციური სტაჟირების შესაძლებლობის მსურველი იყო მხოლოდ 8.5%.

ახალგაზრდების ხელშეწყობის ღონისძიებებში დაფიქსირდა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (62.5%), ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა 51%; ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების წახალისება (44%)ეს პასუხი ყველაზე ხშირად იყო დაფიქსირებულიიგპ-თ აჯგუფში (56%). ყურადღების მიღმა არ დარჩა კვალიფიციური სტაჟირების ხელშეწყობა (46%). ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების დაფინანსება აქტუალური არ გამოდგა სოციალურად დაუცველთა ჯგუფისათვის (8%). სამაგიეროდ, მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება (92%). ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა საჭიროდ მიიჩნია მათმა 72%. ეს საკითხი აქტუალური ახალგაზრდების ჯგუფის მხოლოდ 34%-თვის გამოდგა.

გამოკითხულებმა, ძირითადად, სექტორთშორისი თანამშრომლობა დაასახელეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების დასახმარებლად. საკითხი დამაკმაყოფილებლად შეფასდა გამოკითხულთა 32% მიერ. არადამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა რესპონდენტთა 20.5%-მა. ნაკლებად დამაკმაყოფილებელია გამოკითხულთა 52%-თვის.

კითხვა წარმოდგენილ სტრუქტურათაგან ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებში მნიშვნელოვანი როლის მქონე სტრუქტურების თაობაზე - ძალოვანი სტრუქტურები დასახელდა 73%-ის მიერ. სოციალური სამსახურები - 63%. ადგილობრივი ხელისუფლება აირჩია 48%. არასამთავრობო ორგანიზაციები - 29.5%., სახალხო დამცველის ინსტიტუტი დასახელდა 30.5% შემთხვევაში. ყველაზე ნაკლებად იყო შეფასებული სასწავლო დაწესებულებების ჩართულობის საკითხი 16.5%.

<u>დასკვნები</u>

- საჭიროა კერძო სექტორის წახალისება სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ამ მიზნით ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა.
- შესაძლებელია ქუთაისის ტურისტული პოტენციალის განვითარება (როგორც დამატებითი სამუშაო ადგილების წყარო) და ამისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა: სტენდები ტურისტებისათვის, სატრანსპორტო გადაადგილების უზრუნველყოფა, სამუზეუმო სტანდარტების უზრუნველყოფა.
- არსებობს დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით სეზონური ავადმყოფობების პრევენციის პროგრამის შექმნის აუცილებლობა.
- საჭიროა ქალთა მიგრაციის შემცირების პოლიტიკის განხორციელება. მათი უმუშევრობის შემცირებისთვის ბიზნეს-სწავლების ჯგუფების შექმნა, რომელიც იქნება განხორციელებული ადგილობრივი პროგრამებით.
- ახალგაზრდების განვითარებისათვის ეფექტური იქნება ახალგაზრდების მიგრაციის შემცირების სტრატეგიის დასახვა. ახალგაზრდული პროგრამების გააქტიურება, წარმატებული სტუდენტების წახალისება-სტიმულირება.
- დგას აუცილებლობა, რომ მოხდეს შშმ პირებისათვის რეალური პროგრამების შექმნა, რომლებიც მათ საზოგადოებრივ ინტეგრაციას და დასაქმების შესაძლებლობებს გაზრდის. მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების არა ერთეული მაგალითების შექმნა, არამედ - მთლიანი ინფრასტრუქტურის ადაპტირება.
- სასურველია გაჩერებებზე მისათითებელი საინფორმაციონიშნებისდამონტაჟება, სად რომელი ტრანსპორტი ჩერდება. შუქნიშნების დამატება გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ხმოვანის. ასევე არის სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების განთავსების საჭიროება. განსაკუთრებით საჯარო სკოლებთან და ბაგა - ბაღებთან.
- აქცენტი კეთდება ქალაქის ცენტრალურ უბნებში ასევე გარე უბნების შედარებით მოფარებულ ადგილებში სარეველა ბალახების (მათ შორის საშიში საკარანტინო მცენარის ამბროზიას) და ანტისანიტარიის კერების აღმოფხვრის აუცილებლობაზე.

- უნდა მოხდეს ბიუჯეტის პროგრამების შედგენისას აკადემიური წრეების, დარგის სპეციალისტების ჩართვის პრაქტიკის დამკვიდრება. საბიუჯეტო პროგრამების სამიზნე ჯგუფების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შემუშავება გენდერული პარამეტრების გასათვალისწინებლად.
- სავალდებულო უნდა გახდეს გრძელვადიანი გადასამზადებელი პროგრამები ბაგა-ბაღის აღმზრდელთათვის გენდერულ ჭრილში. სკოლამდელი განათლების სერვისის გენდერული სტანდარტების მიხედვით აღჭურვა.
- არსებობს იგპ პირებისათვის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისკენ მიმართული პროექტების განხორციელების საჭიროება.
- სასურველია ადმინისტრაციულ ერთეულებში ხანდაზმულებისთვის შემეცნებით-გასართობი კუთხეების მოწყობა მათი სრულფასოვანი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ხელშესაწყობად.

2. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ მოიცვა როგორც ქალაქი სენაკი, ასევე მიმდებარე სოფლების სამიზნე ჯგუფები, რომლებსაც წარმოადგენდნენ იგპ ქალები, მცირე მეწარმე ქალები, ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები. დარგის სპეციალისტები და ექსპერტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი, 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ. მონაწილეთა რაოდენობა 44 ადამიანი. მათ შორის 36 ქალი, 8 კაცი. გამოიკითხა 200 პირი. მათ შორის 181 ქალი, 19 კაცი.

მიღებული იყო როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი ინფორმაცია. სულ კვლევაში ჩართული იყო 244 ადამიანი. აქედან 217 ქალი და 27 კაცი.

ასაკობრივი კატეგორია - 18-დან 70 წლამდე.

კვლევამ გამოკვეთა ადგილობრივი სამიზნე ჯგუფების აზრით, ბიუჯეტის ეფექტური ხარჯები. მათი ნაწილი წელს პირველად დაფინანსდა და ეფუძნებოდა წინა წლების პროგრამების შეფასებას. *„წლევანდელი ბიუჯეტი მთლიანად სოციალურია და, რაც მნიშვნელოვანია, არის ძალიან მრავალფეროვანი და დახვეწილი, რადგანაც გავიზიარეთ გასული წლების გამოცდილება რიგი პროგრამების ეფექტურობის თვალსაზრისით“.*

ეფექტურად იქნა მიჩნეული პროექტები, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობაგაუარესებული მოსახლეობის მედიკამენტოზური დახმარების, შეჭირვებული მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის და შობადობის წახალისების პროგრამებისკენ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა. *„მწირმა მატერიალურმა შესაძლებლობებმა არ მოგვცა საშუალება, დაგვეგეგმა და განგვეხორციელებინა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, თუმცა ამ მიმართულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან ალბათ მივიღებთ გარკვეულ დახმარებას.“*

კვლევისას გამოიკვეთა, რომ საზოგადოების ის ნაწილიც კი, რომელიც არიან აქტიური და წარმატებული თავის საქმეში, მოკლებულია ინფორმაციას ბიუჯეტის პროგრამების შესახებ. *„ვფიქრობთ, ამ კუთხით მეტი მუშაობა მართებს საინფორმაციო საშუალებებს“.* რაც შეეხება ადგილობრივ პროგრამებს, რომლებიც შედარებით მორგებულია მოქალაქეების საჭიროებებზე, ყველამ ერთხმად აღნიშნა ჯანდაცვის და სოციალური დაცვის პროგრამები.

კვლევის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავდნენ დასაქმების პრობლემის არსებობას. გამოიკვეთა პოზიცია, რომ აუცილებელია, როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უფრო მეტად იზრუნოს სამუშაო ადგილების შექმნაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე. *„ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ბიზნესის განვითარებისათვის შესაფერისი გარემო, ეცადოს მოიზიდოს პოტენციური ინვესტორები. კარგია, რომ ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა, არის გარკვეული დაინტერესება ჩინელების მხრიდან აგრარულ და საკურორტო სფეროში“.*

ითქვა, რომ მუნიციპალურ პროგრამებში სოფლის მეურნეობის სფერო უნდა იქნეს განსაკუთრებით გათვალისწინებული, პრიორიტეტი უნდა გახდეს სასათბურე მეურნეობები, საკონსერვო ქარხნები. ხაზგასმული იყო, რომ უნდა იყოს დაცულისაძოვრები, რათა ხელი არ შეეშალოს მესაქონლეობის განვითარებას. *„მეტი ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობას. მარტო ვაუჩერის დარიგება არ შველის გლეხს. მიწა მოიხნა, მთავრობა დაგვეხმარა, ეს კარგია, მაგრამ ეს სანახევროდ გაკეთებული საქმეა. სასუქები ძვირია, ვაუჩერით მიღებული საკმარისი არ არის. ასევე აუცილებელია სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“.*

რესპონდენტების აზრით, მეტად უნდა იქნეს დაფინანსებული სოფლის მეურნეობის სფერო, ხელი უნდა შეეწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას და იაფი და გრძელვადიანი სესხების გამოყოფას, გასაღების ბაზრების მოძიებას. რის შედეგადაც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების *საკითხი. „არის საჭიროება, ზოგიერთ სოფელში, კერძოდ ეკის თემში, გზის საფარის მოწესრიგების“.*

აქცენტი გაკეთდა მეფუტკრეობაზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე რენტაბელურ დარგზე. *„ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგია მეფუტკრეობა. თითქოს ამ მხრივ გაწერილია პროგრამები, მაგრამ მაინც ხელმიუწვდომელია იმ გლეხებისთვის, ვინც ნამდვილად ცდილობს სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას. ამ მხრივ სახელმწიფოს ან ორგანიზაციების დახმარება გლეხებისთვის რეალური სტაბილური შემოსავლის გაჩენას ნიშნავს“.*

კვლევის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მცირე ბიზნესის განვითარებაში საგადასახადო შეღავათების დაწესება წაახალისებს მეწარმეს და გაიზრდება სამუშაო ადგილები და ადგილობრივი პროდუქციის წარმოება, *„შესაბამისად შემცირდება სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვიც“.*
ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ მიზეზად დასახელდა ბიუროკრატია. ის ბერკეტები, რომლებიც ახშობს ,,ქვევიდან“ წამოსულ ინიციატივებს, რესპონდენტების

აზრით, უნდა ხდებოდეს ინტერესთა თანხვედრა მთავრობასა და ხალხს შორის. *„თეკლათში მუშაობდა მექანიკური ქარხანა, სადაც უამრავი ადგილობრივი მუშაობდა, კარგი იქნება, რომ აღადგინონ ეს ქარხანა“. „ხელი უნდა შეეწყოს საშუალო ფენის წარმომადგენლებს, დაწესდეს გარკვეული შეღავათები, მიეცეთ საშუალება რაციონალიზატორებს, გამომგონებლებს, რათა უშიშრად და თამამად იღვაწონ თავიანთი საქმიანობის სარეალიზაციოდ, დაწესდეს წახალისებები წარმატებულთათვის“.*

რიგ შემთხვევებში აღნიშნეს სოციალურიპროგრამებისდახვეწის საჭიროება. გამოითქვა სურვილი, სოციალურად დაუცველების გამოვლენის ქულების მინიჭება მოხდეს ადგილობრივი კომისიის ჩართვით.
თვალსაჩინო გახდა ახალი პროგრამების საჭიროებაც: *„სასურველი იქნებოდა შემდგომი წლიდან პარალიზებულ, დავრდომილ ავადმყოფებთან პალიატიური ღონისძიებების დაფინანსება“.*

გამოიკვეთა იძულებით გადაადგილებულთა თემის პრობლემები, რომელთა შორის ყველაზე საჭირობოროტო საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხია. *„ბევრი დევნილია დარჩენილი, რომელსაც საკუთარი საცხოვრებელი არა აქვს, შეფარებულია ძველ ავარიულ შენობებში“.* ითქვა, რომ სოფლებში ბევრი დევნილი ოჯახი ნათხოვარ სახლებში ცხოვრობს. შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში შეიძლება მათთვის პირობების შექმნა უკვე ადაპტირებულ გარემოში. *„ამ საკითხში საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლების და დევნილთა სტრუქტურების თანამშრომლობა“.*

ხაზგასმული იყო შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის, მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხი. გამოითქვა სურვილი, შეიქმნას ცენტრი სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. ყურადსაღები იყო მოსაზრება დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების სპეციალური მეთოლოგიით სწავლების პროგრამის შემოღების თაობაზე სკოლამდელ ასაკში, რათა ასეთ ბავშვებს გაუადვილდეთ სკოლაში თანატოლებთან ინტეგრაცია.

საუბარი ხშირად იყო ახალგაზრდების საჭიროებებზე, მათი წახალისებისა და მიგრაციის პრევენციის, ადგილზე შესაბამისი პირობების შექმნის აუცილებლობებზე. ხაზგასმული იყო მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისათვის სპორტული კომპლექსის (სტადიონის, საცურაო აუზის, ჩოგბურთის კორტების მშენებლობა და სხვა) აღორძინება. დასაქმების შესაძლებლობის არქონა, რესპონდენტების აზრით, არა მარტო ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს, არამედ დემოგრაფიული პრობლემების სათავეც ხდება, რადგან დასაქმების პრობლემააიძულებს ახალგაზრდებს, ნაკლებად იფიქრონ განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ რაიონში დაბრუნებაზე.
რესპონდენტები შეთანხმდნენ იმ საერთო პრობლემაზე, რომელიც სენაკელ ახალგაზრდებს-სტუდენტებს და მოსწავლეებს ერთნაირად აწუხებთ. ეს არის დასაქმების პრობლემა. ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად მიაჩნიათ სამუშაო ადგილების შექმნა მცირე აგრარული საწარმოების გახსნით და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების წახალისება ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებით, რაც სტიმულს მისცემს სხვა ახალგაზრდას, მიიღოს

აგრარული განათლება და დარჩეს სოფელში. ამაში კი ახალგაზრდები გადამწყვეტ როლს ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებენ. *„შედეგიანი იქნება განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება უმაღლეს სასწავლებლებში ან კოლეჯებში სწავლის საფასურის ნაწილობრივი გადახდით. სტიპენდიების დანიშვნა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ასევე შეიძლება კარგი ეფექტი მოგვცეს ორ-სამთვიანი პროფესიული გადამზადების ცენტრების დაფინანსებამ, რისი მიზანშეწონილობაც წინასწარ უნდა იქნას გამოკვლეული“.*

იყო საუბარი იმაზე, რომ უკანასკნელ წლებში ინტენსიურად ხდება ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების ასახვა, საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაძლებლობის ფარგლებში, გაზრდილია ქალთა მონაწილეობა პრიორიტეტების შერჩევაში და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებაში, *„აქტიურად ინერგება ბიუჯეტის პროგრამებში გენდერული კომპონენტები: მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური პროექტების დაფინანსება, მეტი ყურადღება ეთმობა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს, მუსიკალურ და სამხატვრო სკოლას და ა.შ. აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ძალისხმევა ამ მიმართულებით“.*

რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს საშუალება აქვს, მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში. *„მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სოფლის ხმაზეა მორგებული, მხოლოდ მათი ჩართულობით და მოსახლეობის უმრავლების გადაწყვეტილებით ხდება სოფელში რიგი პრობლემების მოგვარება. მაგალითად, წელს ნოსირში, მენჯში, ახალსოფელში, ხორშში მოსახლეობამ გადაწყვიტა საბავშვო ბაღებში არსებული პრობლემების მოგვარება“.* სამომავლოდ მიზანშეწონილად იყო მიჩნეული სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისათვის გაზიფიცირების პროექტის განხორციელება.

დაფიქსირდა პოზიცია, რომ გენდერული ნიშნით ქალები არ არიან შეზღუდული საზოგადოებაში, მაგრამ ოჯახში თითქმის უმრავლესობა შეზღუდულია.*„რაც შეეხება ქალთა მდგომარეობას გენდერული ნიშნით ოჯახში: ქართველი ქალის და მამაკაცის სტერეოტიპი შეჩვეულია არსებულ მდგომარეობას“*. კვლევის მონაწილეთა აზრით, პრობლემა არსებობს და ამას მიუთითებს საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებული ძალადობის ფაქტები და უმძიმესი შედეგები. ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ ძალადობა მეტნაკლებად ხდება ოჯახებში, მაგრამ ცდილობენ გარეთ არ გავიდეს ამის შესახებ ინფორმაცია. კვლევის ზოგიერთმა მონაწილემ აღიარა კიდეც, რომ ადრე იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. *„მიუხედავად იმისა რომ მომრავლდნენ ქალთა საკითხებზე მომუშავე ფონდებისა და არასამთავრობოები, მაინც ხშირია ძალადობის გამოვლენა, ამიტომ ალბათ თვითონ მხარეებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას და განმუხტონ დაძაბული სიტუაცია, ამისთვის კი არაფორმალური განათლებაა საჭირო როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვისაც“.*

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უნდა დაიგმოს ქალზე ძალადობა, უნდა გააქტიურდეს საზოგადოება ამ კუთხით, მოხდეს შესაბამისი განათლების ამაღლება და საზოგადოების და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა.

სენაკი. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

თვისობრივი მონაცემების პარალელურად, სენაკის სამოქალაქო ჯგუფებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში მოპოვებული იქნა რაოდენობრივი ინფორმაცია. გამოკითხვა ჩატარდა 200 პირთან. სამიზნე ჯგუფები იყვნენ იძულებით გადაადგილებული ქალები, ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, მცირე მეწარმე ქალები

ასაკობრივი კატეგორია - 18 დან 70 წლამდე, გენდერული სურათი 181 ქალი, 19 კაცი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რამდენად არიან ინფორმირებული სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ, რომელ მიმართულებას მიიჩნევენ პრიორიტეტულად საკუთარი განვითარებისათვის; რას თვლიან ყველაზე აუცილებელ ღონისძიებად სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით. რა სახის საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება აქვთ; რა შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში; ოჯახში ძალადობისგან დაცვის კუთხით რომელი სტრუქტურის საქმიანობას მიიჩნევენ უფრო პროდუქტიულად.

კვლევამ გვიჩვენა, რომ სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის დონე ადგილობრივი პროგრამების ირგვლივ არ არის მაღალი. ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია აქვს გამოკითხულთა 9,5%. შედარებით მწირი ინფორმაცია აქვს 52%-ს. არაინფორმირებულად მიიჩნევს თავს გამოკითხულთა 38,5%. გარკვეულწილად ინფორმირებულია იგპ ჯგუფი - 76%. ყველაზე არაინფორმირებული აღმოჩნდა მცირე მეწარმე ქალების ჯგუფი 56%.

გამოკითხვამ აჩვენა, როგორ აფასებენ სენაკის ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებს. ამ კუთხით ჩატარებულ ღონისძიებებს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს გამოკითხულთა მხოლოდ 30.5%%. მათ შორის ყველაზე ნაკლებად - დევნილების ჯგუფი (16%). არადამაკმაყოფილებლად შეაფასა გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 29.5%. პასუხის გაცემა გაუჭირდა გამოკითხულთა 40%. შესაბამისად იგპ ჯგუფის 50%. ახალგაზრდების 54% სოციალურად დაუცველების 48%.

ყველაზე მეტად უკმაყოფილო აღმოჩნდა მცირე მეწარმეთა ჯგუფი (54%). მათი მხოლოდ 8% არ არის ჩამოყალიბებული პასუხში.

სამიზნე ჯგუფებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას სამოქალაქო მონაწილეობა. ამ საკითხს მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 65,5%. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალგაზრდები - 84%. გამოკითხულთა მხოლოდ 3.5% არ ანიჭებს საკითხს არანაირ მნიშვნელობას. კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა სოციალურად დაუცველების 20% და იგპ 18%.

ადგილობრივი პროგრამების დაფინანსების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ჯანმრთელობის დაცვის (81%), განათლების (66,5%), სოციალური დაცვის (63%) პროგრამები. ეკონომიკური განვითარება აირჩია 20%-მა, ინფრასტრუქტურული პროექტები 31,5%-მა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება ერთ-ერთი პროირიტეტი აღმოჩნდა 20%-ისთვის.

ჯანდაცვას პრიორიტეტად თვლის დევნილების 98%, მცირე მეწარმეების 86%, სოციალურად დაუცველების 82%, ახალგაზრდების 58%.

კითხვაზე, ვის საჭიროებებს უნდა ასახავდეს ადგილობრივი ბიუჯეტი ყველაზე უფრო მეტად, გამოკითხულთა პასუხებში, პირველ რიგში, დასახელდა დევნილები (64%). უფრო დევნილთა ჯგუფის მიერ (მათი 94%), შემდგომ - სოციალურად დაუცველები (49.5%), მოხუცები - 43%. აღნიშნული იყო ახალგაზრდა ოჯახების (40 %), შშმ პირების (29.5%), მარტოხელა მშობლების (19%) საჭიროებები. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად დაფიქსირდა ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები (4,5%).

გამოკითხულებმა დაასახელეს სამი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ყველაზე ხშირად დაფიქსირდა დასაქმების აუცილებლობა - 94%. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შრომის პირობების დაცვის საკითხს - მთლიანად გამოკითხულთა 72%. ეს საკითხი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იგპ-თა ჯგუფის 90%, ახალგაზრდების 58%, სოციალურა დაუცველების 68%, მცირე მეწარმეების 72%-თვის.

ძალიან საინტერესოა, რომ დევნილებისათვის უფრო პრიორიტეტულია დასაქმება (98%) და შრომის პირობების დაცვა (90%), ვიდრე ადგილობრივ სოციალური დახმარების პროგრამებში ინტეგრირება - 8%.

საკმაოდ ხშირად იყო დასახელებული პრიორიტეტად საბინაო პირობების გაუმჯობესება (59%). კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ პასუხად აირჩია ახალგაზრდების 66%.

ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ მიზეზად ყველაზე ხშირად დასახელდა პრობლემა, რომ სახელმწიფოსგან არ არის შესაბამისი ხელშეწყობა (68%). ამ საკითხისადმი დაახლოებით ერთნაირი დამოკიდებულება აქვს ყველა ჯგუფს. სასტარტო კაპიტალის არქონა დაფიქსირდა პასუხების 60%-ში. პრესი ოჯახის წევრების მხრიდან დააფიქსირეს სოციალურად დაუცველთა ჯგუფში - 18% . პროფესიის არქონა დაფიქსირდა პასუხების 38.5%-ში. ეს პრობლემა ყველაზე მეტად აწუხებს სოციალურად დაუცველთა 58%-ს.

დაბალანაზღურებად სამსახურს, როგორც თავისი ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ გარემოებას, ასახელებს სოციალურად დაუცველთა 70%. ყველაზე ნაკლებად - მეწარმე ქალები (14%).

გამოკითხულთა 51% შენატანი ოჯახში არის შერეული ტიპის შრომა. მხოლოდ 13.5% არის პროდუქტიული და 35.5% - რეპროდუქტიული.

რეპროდუქტიულ სექტორში გაწეული შრომის წახალისება აუცილებელია გამოკითხულთა 64%-თვის. არ მიიჩნევს საჭიროდ გამოკითხულთა 8%. პასუხის გაცემა უჭირს 28%. მათ შორის ყველაზე ნაკლებად გააჩნია საკუთარი პოზიცია დევნილთა ჯგუფს (50%).

ქალებში უმუშევრობის შემცირების ხელშემწყობ გარემოებად გამოკითხულთა 92% მიიჩნევს სამუშაო ადგილების შექმნას. დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრების აუცილებლობა ხაზგასმული იყო 71,5% მიერ. ადგილობრივი ტურიზმის განვითარება დასახელდა 35%-ის მიერ. თუმცა დევნილთა ჯგუფი ამ საკითხს უფრო ნაკლები ნდობით უყურებს(6%). აღნიშნული იყო მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობა (51.5%).უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას, როგორც ქალებისთვის უმუშევრობის შემცირების საშუალებას, უყურებს გამოკითხულთა 48%.

გამოკითხვის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა განათლების გაღრმავების საჭიროებებს, აჩვენებს მონაწილეთა დამოკიდებულებას, თუ რომელი მიმართულება არის მათთვის უფრო

სასიცოცხლო. პროფესიული გადამზადების კვალიფიციური კურსების საჭიროება დაასახელა გამოკითხულთა 29.5%-მა. სპეციალური ტრენინგები სასურველად მიაჩნია 22%-ს. გრძელვადიანი პროფესიული კურსები - 20.5%-ს. კვალიფიციური სტაჟირების შესაძლებლობის სურვილი გამოხატეს ახალგაზრდებმა (ჯგუფის 26%).

ახალგაზრდების ხელშეწყობის ღონისძიებებში ასარჩევი სამი სავარაუდო პასუხებიდან უფრო ხშირად დასახელდა სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (61%). სტუდენტების მხარდაჭერა (მუნიციპალური ვაუჩერი, სტიპენდია - 52%). ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა 47%; ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების წახალისება (52%). ეს პასუხი ყველაზე ხშირად იყო დაფიქსირებული მცირე მეწარმეთა ჯგუფში (მათი 80%). ყურადღების მიღმა არ დარჩა კვალიფიციური სტაჟირების ხელშეწყობა (46%). ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა საჭიროდ მიიჩნია გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 47%. ეს საკითხი ყველაზე აქტუალური გამოდგა მცირე მეწარმეთა ჯგუფისთვის (მათი 70%).

გამოკითხულებმა შეაფასეს სექტორთშორისი თანამშრომლობა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების დასახმარებლად. საკითხი დამაკმაყოფილებლად შეფასდა გამოკითხულთა 19%-ის მიერ. არადამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა რესპონდენტთა 43%-მა. ნაკლებად დამაკმაყოფილებელია გამოკითხულთა 38%-ის აზრით. ყველაზე რადიკალური იყო სოციალურად დაუცველთა ჯგუფი. საკითხს არადამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა მათმა 86%-მა.

კვლევის თემა - წარმოდგენილთაგან ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებში რომელია უფრო მნიშვნელოვანი როლის მქონე სტრუქტურა, უმთავრესად დასახელდა სოციალური სამსახურები (69.5%). ძალოვანი სტრუქტურები დასახელდა გამოკითხულთა 62.5%-ის მიერ. ადგილობრივი ხელისუფლება აირჩია 57,5%-მა, არასამთავრობო ორგანიზაციები - 27%, სახალხო დამცველის ინსტიტუტი დაასახელა 47%-მა. ყველაზე ნაკლებად იყო შეფასებული სასწავლო დაწესებულებების ჩართულობის საკითხი - 14.5% და ჯანდაცვის სტრუქტურები - 27%.

ჩატარებულმა თვისობრივმა და რაოდენობრივმა კვლევამ თვალსაჩინო გახადა არჩეული სამიზნე ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებები და მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა, შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შესამუშავებლად ამ საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვისათვის.

დასკვნა

- საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობა მუშაობდეს იმ მიმართულებით, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გამოასწოროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს უმუშევრობის დონის შემცირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, როგორც გენდერული პერსპექტივების ხელშეწყობა.
- ხელი უნდა შეეწყოს სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისათვის გაზიფიცირების პროექტის განხორციელებას, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილ გენდერულ ღონისძიებას, რადგან ის, პირველ რიგში, ქალების მდგომარეობის შემსუბუქებას იწვევს.

- მუნიციპალიტეტის მმართველობასა და მოსახლეობას შორის მუდმივი დიალოგის რეჟიმით უზრუნველყოფილი უნდა გახდეს საბიუჯეტო პროგრამების მოქნილობა, დროულობა და სხვადასხვა ჯგუფზე (ქალები, ახალგაზრდები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი და მარტოხელა მშობლები) ორიენტირებულობა.
- უნდა იქნეს შესწავლილი სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებები, მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის გამოკითხვის, პასუხისმგებელი პირების და ხალხის ხშირი ურთიერთობის ხელშეწყობის და სხვა საშუალებების გამოყენებით.
- უნდა ჩატარდეს უფრო ხშირი შეხვედრები მოქალაქეებთან, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე გენდერული საჭიროებების წარმოჩენას და მათ გადასაჭრელად რიგი ღონისძიებების დაგეგმვას, ხოლო ბიუჯეტის ფორმირების დროს კი მათ გათვალისწინებას.
- მოხდეს განათლების სფეროს მეტი დაფინანსება. კარგი იქნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მასწავლებლებთან და მშობლებთან პერმანენტული შეხვედრა/ტრენინგების ორგანიზება გენდერული განათლების უზრუნველყოფისთვის;
- საჭიროა შეიქმნას ცენტრი სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. ყურადღება მიექცეს დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების სპეციალური მეთოლოგიით სწავლების საკითხებს.
- საჭიროა იგპ-თა თემის მეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დევნილთა სტრუქტურებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.
- ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ხელშეწყობის ღონისძიებები, რათა მოხდეს ადგილზე მათი დაკავება და მიგრაციის პრევენცია. ამისათვის საჭიროა მათი სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, წარმატებული სტუდენტების წახალისება სტიპენდიით.
- უნდა იქნეს აღიარებული ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მაგალითები. მოხდეს ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების გენდერული განათლების ხელშეწყობა, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა, ადგილობრივი რესურსების გამონახვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დასახმარებლად.
- განსაკუთრებული მნიშვნელობა მიექცეს სოფლის განვითარების პროექტებს. ინვესტიციების მოზიდვას და გარკვეული დარგების, მაგალითად - მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც, პირველ რიგში, იქნება ქალების და მათი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.
- სასურველი იქნება ახალ ბიუჯეტში პარალიზებულ, დავრდომილ ავადმყოფებთან პალიატიური ღონისძიებების დაფინანსება, როგორც ადგილობრივი ზრუნვის დემონსტრირება ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური საჭიროების მქონე ჯგუფის მიმართ.

<u>ოზურგეთი</u>

კვლევამ, რომელიც ჩაატარა ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ, მოიცვა ქალაქი ოზურგეთი და ოზურგეთის რაიონის სოფლები. მათ შორის გურიანთა, შემოქმედი, წითელიმთა, მთისპირი, ძიმითი, ლიხაური.

ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი, 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფის და ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეთა რაოდენობა -44 ადამიანი. მათ შორის 24 ქალი. 20 კაცი).
გამოიკითხა 200 რესპონდენტი (მათ შორის 18 დან 81 წლამდე 146 ქალი, 54 კაცი).
კვლევაში ჩართულთა საერთო რაოდენობა იყო სულ - 244 პირი. მათ შორის 170 ქალი, 74 კაცი.
ასაკობრივიკატეგორია 18-დან 81 წლამდე.
მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა რეგიონის უმძიმესი სოციალური ფონი და სამიზნე ჯგუფების (დევნილები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები) მკვეთრად გამოხატული დამოკიდებულება სახელმწიფო შემწეობებზე. გარდა ამისა, გულისტკივილით იქნა აღნიშნული, რომ სოციალური დახმარებების დაკარგვის შიშით მოქალაქეები თითქმის არ განიხილავენ საკუთარი, უფრო გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივას.
კვლევის მონაწილეთა აზრით, მოსახლეობა არ არის აქტიური და ჩართული თვითმმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. *„ეს საკითხი ისევ აქილევსის ქუსლად რჩება. თვითმმართველობამდე ხალხის სატკივარი, საზოგადოების საჭიროებები და პრობლემები, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაქვთ. თანაბარი მონაწილეობისათვის კი აუცილებელია საზოგადოების გააქტიურება“.*

კვლევამ ანახა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებს აქვთ გენდერული ხასიათი, თუმცა რიგ შემთხვევებში რესპონდენტები ეჭვით უყურებენ ზოგიერთი პროგრამის მიზანშეწონილობის საკითხს. *„ეჭქვეშ დავაყენებდი მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამას. არ არის დაკონკრეტებული, თუ რას ეხება იგი და ნებისმიერ დაავადებაზე შეიძლება მისი გაცემა - სუბიექტური შეხედულების მიხედვით. კარგი იქნება, თუ ამ პროგრამებს დაერქმევა თავისი სახელი და მოქალაქეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ რომელ დაავადებებს და რა ოდენობით აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი“.*
კვლევით გამოვლინდა, რომ ოზურგეთის ბიუჯეტში გათვალისწინებულია „ტრადიციული“ გენდერული ხარჯები: განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით, მაგრამ, გარდა ამისა, გაცნობიერებულად მოხდა გენდერული კუთხით რიგი საკითხების შეტანა ბიუჯეტში (მაგალითად - წარჩინებული სტუდენტების და მათი სკოლების წახალისება, 150 000-ზე მეტი ქულის მქონე პირების ადგილობრივ ჯანდაცვის პროგრამებში ჩასმა), გენდერული განათლების ხელშეწყობის პროექტების მხარდაჭერა, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება ხდება და აუცილებელია ამ სასარგებლო პრაქტიკის შემდგომი განვითარება და დახვეწა.

თუმცა რესპონდენტების ნაწილს არ აკმაყოფილებს გენდერული ბიუჯეტის დანერგვის კუთხით ჩატარებული საქმიანობა. ადგილობრივ ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ *„ამ კუთხით საქმიანობა ნაკლებად მიმდინარეობს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ცალკეულ მცდელობებს, რომელთაც სისტემატიური ხასიათი არ გააჩნიათ“. „...რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტს, ესაა ბიუჯეტი, რომლის შემუშავებაში თანაბრად მონაწილეობს მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი სოციალური ჯგუფები. გენდერულ ჭრილში ასეთი ბიუჯეტი უნდა ასახავდეს აღნიშნული ჯგუფების საჭიროებებს, რაც ნაკლებად ხდება“. „ქალების ჩართვა დაგეგმვაში აუცილებელია, რადგანაც მათ მამაკაცებისაგან*

განსხვავებული ხედვა გააჩნიათ და ხშირად ისეთ დეტალებს აქცევენ ყურადღებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია“.

დაფიქსირდა პოზიცია, რომ დღევანდელი ადგილობრივი ბიუჯეტები, სამწუხაროდ, ნაკლებადაა გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე. კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ ეს საერთო სენია და ოზურგეთი გამონაკლისი არ არის. მათი აზრით, ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სტრატეგიული გეგმა. *„მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაზე საუბარი“.*
მუნიციპალიტეტმა უნდა მოამზადოს ინფრასტრუქტურა, საინვესტიციო პროექტები და შექმნას შესაბამისი გარემო ბიზნესის განვითარებისათვის. *„მარტო ხვნა-თესვასთან დაკავშირებული პროგრამები, ვფიქრობ, არ არის საკმარისი, უნდა არსებობდეს სხვა პროგრამები, რომლებიც ხალხს სიკეთეს მოუტანს“.*

კვლევის პირდაპირი ბენეფიცარების აზრით, ოზურგეთის შემთხვევაში კარგი იქნებოდა ფერმერული მეურნეობის დაფინანსება, რითიც მეტი შემოსავალი გაუჩდებოდა მოსახლეობას. *„კარგი იქნება, დასაქმების პროგრამა თუ ამუშავდება. რაღაც მიწის ნაკვეთს რომ მოგვცემდეს ადგილობრივი მთავრობა. თხილს გავაშენებდით და ცოტათი მაინც მოვაგვარებდით ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს“.*
თვისობრივი კვლევის თითქმის ყველა მონაწილე თვლის, რომ არის საშუალება, დავიწყოთ სოფლის მეურნეობის აღორძინება, მაგალითად - სოფლად მეჩაიეობის რებილიტაცია-აღდგენა, რომელიც უამრავ სამუშაო ადგილს შეუქმნის ქალებს.

კვლევაში მონაწილეების მხრიდან გააზრებული იყო მცირე ბიზნესის წახალისების აუცილებლობა, როგორც გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის პირობა. ამისათვის საჭიროდ იყო მიჩნეული ადგილობრივი საგადასახადო შეღავათები მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შესაქმნელად. ამ საკითხს ერთნაირად უყურებენ როგორც პოტენციური მეწარმეები, ისე - დარგის სპეციალისტები.

გარდა სოცილური და ეკონომიკური პრობლემებისა, კვლევის მონაწილეები შეეხნენ კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების აუცილებლობის *საკითხს: „სოფლის ბიბლიოთეკების გააქტიურებაა საჭირო, არ შეიძლება, რომ სოფლებში ბიბლიოთეკა არ იყოს“. „მე, როგორც მასწავლებელს, მჭირდება ახალი ლიტერატურა, რომელსაც ვერ ვყიდულობ იმის გამო, რომ ძვირია. ბიბლიოთეკა ხომ უნდა იყოს, რომ იქ მაინც მოვიპოვო საჭირო წიგნი და წავიკითხო“.* ითქვა, რომ სოფლის ბიბლიოთეკების განახლება და თანამედროვე ლიტერატურით შევსება მნიშვნელოვანი იქნება სოფლების ახალგაზრდობისთვისაც, რომელსაც ყველგან არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე“.
„ჩვენი რაიონის სინამდვილეში ქალები, ბავშვები დ ა.შ. ნაკლებადაა დაკმაყოფილებული, რაიონს პრაქტიკულად არც ერთ სოფელში არ გააჩნია სპორტულ/გამაჯანსაღებელი ცენტრები; რაიონი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებშია“,.

კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ მდგომარეობის შესაცვლელად მუნიციპალიტეტმა უნდა ჩაატაროს ფართომასშტაბიანი კვლევა სოციალური ჯგუფების საჭიროებების შესასწავლად, მაგალითად: მოიკვლიოს, რა პროფესიებია დეფიციტური და დაუფინანსოს კოლეჯებში და სხვა სასწავლებლებში. განსაკუთრებით აღინიშნა ქალთა დაინტერესებული ჯგუფების სწავლების/ტრენინგების საჭიროება. *„უკეთესი იქნებოდა, დაგვეფინანსებინა ის პროფესიები, რომლის დეფიციტიც მუნიციპალიტეტში არსებობს. ამისთვის კი აუცილებელია კვლევის ჩატარება“.*

ხაზგასმული იყო ადგილობრივი ადამიანური და ინტელექტუალური პოტენციალის აღნუსხვის საჭიროება, სტრატეგიული ხედვა: *„როცა იგეგმება სხვადასხვა ქარხნის გახსნა, საინტერესოა, რამდენად გვყავს შესაბამისი კადრები“.*

ადგილობრივი ჯგუფების საჭიროებებზე საუბრისას ხაზგასმული იყო შშმ პირთა პრობლემები და აქვე მოხდა იმ ღონისძიებების შეთავაზება, რაც მათ მდგომარეობას შეამსუბუქებს: უკვე არსებულ პროგრამებში ამ კონტინგენტის ინტეგრირება, არსებული დღის ცენტრის პროფილის შეცვლა და გამაჯანსაღებელი სერვისის უზრუნველყოფა, მომსახურე პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციით მომზადება. *„შევეხები შშმ პირების საჭიროებებს. არსებობს 18 წლამდე ასაკის ასეთ პირთა დღის ცენტრი, მაგრამ იქ სხვა პროგრამები მუშაობს. სასურველია მათი რეაბილიტაციის ცენტრის გაკეთება ოზურგეთში, რომელიც რეგიონს მოემსახურება. ამ პირებს სხვადასხვა სახის ვარჯიშისთვის თვეობით უწევთ ყოფნა დედაქალაქში. პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ორი სპეციალისტის გადამზადებაა საკმარისი და ადგილზევე გახდება მათი მომსახურება შესაძლებელი. მართალია, ეს პრობლემა უპირატესად 18 წლამდე ასაკის ბავშვებს უფრო აქვთ, მაგრამ დიდებსაც სჭირდებათ“.*

რესპონდენტების აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურად დაუცველ, უსახლკაროდ დარჩენილ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. მრავალშვილიანი დედები, ახალგაზრდა ოჯახები უნდა გრძნობდნენ სახელმწიფოსგან მზრუნველობას და წახალისებას. *„მრავალშვილიანი დედების წახალისება უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი. მხოლოდ მცირედი თანხებით და ერთჯერადად არ უნდა ხდებოდეს მათი დაფინანსება. თუმცა ჩვენს მუნიციპალიტეტში შეძლებისდაგვარად მაინც ხერხდება მათი ხელშეწყობა, მაგრამ მეტი გულისყურია საჭირო მათი გრძელვადიანი განვითარების პროგრამების დასანერგად“.*

გულისტკივილი გამოითქვა დევნილების თემის ინტეგრირების დაბალი ხარისხის გამო: *„უნდა მომზადდეს სხვადასხვა პროექტი, რომელშიც ჩართული იქნებიან დევნილები. ეს მათაც დაეხმარება განვითარებაში და ასევე მოხდება მათი ადამიანური და ინტელექტუალური რესურსის საზოგადოების სასიკეთოდ გამოყენება“.*

ახალგაზრდების საჭიროებების გამოკვეთით ცხადი გახდა, რომ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ უპერსპექტივობის განცდა. კვლევაში ჩართულები აღნიშნავენ, რომ ამ ფონზე ძნელია მათი მიგრაციის პროცესის შეჩერება. სტუდენტები შეხვედრებზე, ძირითადად, უმუშევრობაზე და დასაქმების პროგრამების ამუშავების აუცილებლობაზე საუბრობენ, აწუხებთ, რომ ისინი სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან, მაგრამ დასაქმების პერსპექტივა ნაკლებად აქვთ. კვლევის მონაწილეებს ჰქონდათ გარკვეული პოზიციები ამასთან დაკავშირებით: *„ახალგაზრდების მიგრაციის შესაჩერებლად მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელებას დავიწყებდი: სოფელი არ უნდა დაიცალოს“. „ყურადღება უნდა მივაქციოთ*

ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას, რომელშიც სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად უნდა ჩავრთოთ გურიის რეგიონში მოღვაწე ყველა ბიზნესმენი, რის საფუძველზეც შეიქმნება ოჯახის დახმარების ფონდი, რომელსაც მიზნად ექნება სოციალურად დაუცველი და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ახალგაზრდების მხარდაჭერა".

კვლევის მონაწილეები გვთავაზობენ თემის დონეზე განსახორციელებელ სხვა ღონისძიებებს, მათ შორის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას: *„მე და ჩემს მეგობრებს გვაქვს იდეები ქალაქის გალამაზებისა და განვითარების შესახებ. კარგი იქნება, თუ ჩვენს მიერ წარდგენილ პროექტებს განიხილავს და მხარს დაუჭერს ადგილობრივი თვითმმართველობა".*
კვლევის პროცესში გამოიკვეთა ჯანდაცვის პროგრამების დახვეწის აუცილებლობა: *„სამომავლო საჭიროებებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჭიებით ინვაზიის პროგრამის დანერგვა სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებში. სასურველია, რომ თვითმმართველობამ ამ მხრივ გამოაცხადოს ტენდერი. მსგავსი ტენდერები ტარდება სხვადასხვა რეგიონში". „სასურველია, თუ ქალაქის მსგავსად ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ჩაერთვება ქვეყნის მასშტაბით გამართულ ელიმინაციის პროგრამაში. სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება პირველადი კვლევა, ანუ აქვს თუ არა პირს „ც" ჰეპატიტი. კარგი იქნება თვითმმართველობიდან ამ ტიპის ხარჯის გათვალისწინება, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ მას აღმოაჩნდება ეს დაავადება - მოხვდეს მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში".*
კვლევის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალობა და მისი აღმოფხვრისათვის ინფორმირების, განათლების, შესაბამისი პროექტების მხარდაჭერის აუცილებლობა. იყო გამოკვეთილი პოზიციები გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. რესპონდენტები თვლიან, რომ ყინული დაიძრა და სტერეოტიპებმა მსხვრევა დაიწყო, თუმცა საზოგადოებაში ვხვდებით ძალადობის ფაქტებს, ამიტომაც მიაჩნიათ, რომ ეს თემა ყველამ ღრმად უნდა გაიაზროს: *„აუცილებელია გენდერულ თემებზე საუბრები სკოლის ასაკიდან დაიწყოს, უფრო მეტიც, სკოლაში საგნადაც კი უნდა ისწავლებოდეს".*

რესპონდენტის აზრით, შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი. ან შექმნას ინფრასტრუქტურა და კონკურსის წესით გადასცეს მისი მენეჯმენტი რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას. ასევე უნდა გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა და სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობა პირველ რიგში არსებული პრობლემური კერების, რისკ-ფაქტორის ჯგუფების აღმოჩენასა და პრევენციაში.

ძალიან ხშირად იყო ყურადღება გამახვილებული ქალების მონაწილეობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი განვითარების პროგრამების აუცილებლობაზე.რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავდა ქალის რეპროდუქტიულ წვლილს და მისი დახმარების საჭიროებას: *„ქალს აუცილებლად სჭირდება დახმარება, განსაკუთრებით სოფლებში, მათ ძალიან ბევრი შრომა უწევთ, გაუსაძლისიც კი". „ყველა ყოფითი პრობლემა ერთად - ქალისთვის მეტად ძნელი გადასატანია, ამიტომ მას უნდა მხარდაჭერა".*

რესპონდენტების აზრით, ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს მათი მთავარი პრობლემის, უმუშევრობის შემცირება. ეს კი უნდა მოხდეს იმ დარგების აღორძინებით (მაგ. - ჩაი, სუბტროპიკული კულტურები), სადაც ბევრი ადამიანი იყო დასაქმებული, პირველ რიგში კი ქალები. რესპონდენტები ხელისუფლების ვალდებულებად თვლიან გასაღების ბაზრების მოძიებას, სადაც რეგიონში მოყვანილი პროდუქცია გავა. თვლიან, რომ ამ საწარმოებში მამაკაცებთან ერთად გენდერული ბალანსის შენარჩუნებით ქალებიც იქნებიან დასაქმებულნი.

ოზურგეთი. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

თვისობრივი მონაცემების პარალელურად ოზურგეთის სამოქალაქო ჯგუფებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში მოპოვებული იქნა რაოდენობრივი ინფორმაცია. გამოკითხვა ჩატარდა 200 პირთან. სამიზნე ჯგუფები იყვნენ იძულებით გადაადგილებული ქალები, ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები

ასაკობრივი კატეგორია - 18 დან 81 წლამდე, გენდერული სურათი 146 ქალი, 54კაცი.

კვლევის მასალებით გამოვლინდა, თუ რამდენად არიან ინფორმირებული სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ; საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის რომელ მიმართულებებს და პროგრამებს მიიჩნევენ პრიორიტეტულად; რომელი ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებების საჭიროება აქვთ; როგორ უნდა მოხდეს უმუშევრობის შემცირება ქალებში; როგორ აფასებენ სხვადასხვა სტრუქტურის თანამშრომლობას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მხარდაჭერის კუთხით და ოჯახში ძალადობისგან დაცვის მიმართულებით რომელი სახელისუფლებო და საზოგადოებრივი რგოლებისჩართვას მიიჩნევენ უფრო მნიშვნელოვნად.

კვლევამ აშკარა გახადა, რომ სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის ხარისხი ადგილობრივი პროგრამების იგვლივ არ არის ძალიან მაღალი. ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ გამოკითხულთა 39%-სსრული ინფორმაცია აქვს. შედარებით მწირი ინფორმაცია აქვს მათ34%-ს. გამოკითხულთა 21% აცხადებს, რომ არ არის ინფორმირებული საბიუჯეტო პროგრამების ირგვლივ. გარკვეულწილად ინფორმირებულია იგპ ჯგუფი - 76%. ყველაზე არაინფორმირებული აღმოჩნდა ახალგაზრდების ჯგუფი - 70% .

გამოკითხვამ საშუალება მოგვცა, გავიგოთ, როგორ აფასებს ოზურგეთის სხვადასხვა სოციალური ჯგუფი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებს. მათ მიზნობრიობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს გამოკითხულთა 48%. არადამაკმაყოფილებელ შეფასებას აძლევს 19%. „მიჭირს პასუხის გაცემა“ დააფიქსირა 22,5%-მა. არადამაკმაყოფილებელი შეფასება ყველაზე მეტად მისცა ეთნიკური უმცირესობებმა (ჯგუფის 86%). თავის პოზიციაში ჩამოყალიბებული არ იყო ახალგაზრდების ჯგუფი. მათმა 72%-მა აირჩია პასუხი - „მიჭირს პასუხის გაცემა“ .

საკითხი, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ გამოკითხულებს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენაში სამოქალაქო მონაწილეობა: გამოკითხულთა 56% თვლის, რომ ეს მნიშვნელოვანია. ამ საკითხს მნიშვნელობას არ ანიჭებს გამოკითხულთა მხოლოდ 4,5%. (მათ შორის ყველაზე

მეტად - ახალგაზრდები - 22%). „მიჭირს პასუხის გაცემა“ დააფიქსირა გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 22.5%-მა. მათ შორის ყველაზე მეტი იყო ახალგაზრდა (66%).

გამოკითხვამ გვიჩვენა, ბიუჯეტის რომელი მიმართულება მიაჩნიათ გამოკითხულებს პრიორიტეტულად ადგილობრივი პროგრამების დაფინანსების კუთხით. ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება. პასუხი აირჩია გამოკითხულთა 85.5%-მა. მათ შორის სოციალურად დაუცველების ჯგუფის 90%, დევნილთა ჯგუფის 88%. სოციალური დაცვა მიაჩნია პრიორიტეტულად გამოკითხულთა 65%-ს. (მათ შორის სოციალურად დაუცველების 92%-ს, ეთნიკური უმცირესობების 88%-ს). ეს საკითხები ყველაზე ნაკლებად მიაჩნიათ პრიორიტეტულად ახალგაზრდებს (30%). განათლება, როგორც ადგილობრივი პრიორიტეტი, დაასახელა გამოკითხულთა 33%-მა. ეს საკითხი ყველაზე აქტუალურია სოციალურად დაუცველების ჯგუფის92%-ის და 88% ეთნიკური უმცირესობებისთვის. ყველაზე ნაკლებად დაასახელა ეს პრიორიტეტი ახალგაზრდების ჯგუფმა - 6%.

ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობას უსვამს ხაზს გამოკითხულთა 28%. მათ შორის 66% ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ყველაზე ნაკლებად დევნილთა ჯგუფის წევრები - 4%.

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებით გაირკვა რესპონდენტების შეხედულება, ყველაზე მეტად ვის საჭიროებებს უნდა ასახავდეს ადგილობრივი ბიუჯეტი. დასახელდნენ სოციალურად დაუცველები-50%. (ეს პასუხი ყველაზე ხშირად აირჩია 76%-მა სოციალურად დაუცველთა ჯგუფიდან). მეორე ადგილზე დასახელდა ახალგაზრდა ოჯახები - 45% (ეს პასუხი აირჩია ახალგაზრდების 76%-მა). მესამეზე - დევნილები - 32% (ეს პასუხი დევნილთა ჯგუფის 76%-მა დააფიქსირა).

დასახელდა სამი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება გამოკითხულთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. საბინაო პრობლემები თითქმის ერთნაირად დაასახელა ყველა მოცემულმა ჯგუფმა - 70%. საჭიროებად დასახელდა დასაქმება - 65%. ყველაზე უფრო ეს სასიცოცხლო საჭიროებად იყო აღქმული სოციალურად დაუცველების (82%)და დევნილების ჯგუფში(72%).

შრომის პირობების სათანადო დაცვას, როგორც სასიცოცხლო აუცილებლობას ასახელებს გამოკითხულთა 59%. მათ შორის ყველაზე მეტად ეთნიკური უმცირესობების ჯგუფი - მათი 94%.

დასახელდა მიზეზები, რომლებიც მოიაზრება გამოკითხულთა ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ მიზეზად.პასუხების 84% იყო „სასტარტო კაპიტალის არქონა“. ეს უფრო მეტად დააფიქსირეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა (94%), იგპ-თა ჯგუფის 92%-მა, სოციალურად დაუცველების 80%-მა, ახალგაზრდების 70%-მა.

ბიზნესის მართვის უნარების არქონა დააფიქსირა საერთო რაოდენობის 45%-მა. უფრო მეტად სოციალურად დაუცველების ჯგუფიდან - 58%, იგპ ჯგუფიდან-54%.სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ხელშეწყობის დეფიციტს გაუსვა ხაზი გამოკითხულთა 40%-მა. უფრო მეტად იგპ-თა ჯგუფიდან- 72%. ასევე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის 64%-მა.

გამოკითხულთა 68.5%-ის შენატანი ოჯახში არის შერეული ტიპის შრომა. ყველაზე ხშირად ეს პასუხი დააფიქსირა სოციალურად დაუცველების ჯგუფმა - 46%.

რეპროდუქტიულ სექტორში გაწეული შრომის წახალისება აუცილებლად მიაჩნია გამოკითხულთა 69%-ს. მათ შორის იგპ-თა 94% და სოციალურად დაუცველების 80%. ამ საკითხს არ მიიჩნევს საჭიროდ გამოკითხულთა 4%. პასუხის გაცემა უჭირს საერთო რაოდენობის 27%-ს. მათ შორის ყველაზე ნაკლებად გააჩნია საკუთარი პოზიცია ახალგაზრდებს - 54%.

ქალებში უმუშევრობის შემცირების ხელშემწყობ გარემოებად გამოკითხულთა 86% მიიჩნევს სამუშაო ადგილების შექმნას. უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას, როგორც ქალებისთვის უმუშევრობის შემცირების საშუალებას უყურებს გამოკითხულთა 65.5%. უფრო მეტად ახალგაზრდები (78%). ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას, როგორც ქალების უმუშევრობის შემცირების საშუალებას, ნდობით უყურებს 46.5%. (უფრო მეტად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები - 74%). მცირე ბიზნესის განვითარება სხვაზე უფრო აინტერესებთ იგპ ჯგუფის წარმომადგენლებს - 54%. სოციალურად დაუცველების 46%-ს, ახალგაზრდების 16% -ს.

როგორც განსაკუთრებული საჭიროება განათლების პროგრამების კუთხით, მონაწილეთა მიერ დასახელდა გრძელვადიანი პროფესიული კურსები. მათ შორის სოციალურად დაუცველთა ჯგუფის 40%-ის მიერ. კვალიფიციური სტაჟირების პროგრამების საჭიროება მხოლოდ გამოკითხულთა 4,5%-მა დააფიქსირა. კომპიუტერულიკურსების საჭიროება აქვს გამოკითხულთა 21%-ს. მათ შორის უფრო იგპ-თა ჯგუფს - 36%; ახალგაზრდების ჯგუფს -26%.

კვლევის შედეგად გამოვლინდა სამიზნე ჯგუფის შეხედულებები, რა მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისთვის. პირველ ადგილზე დასახელდა ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებულ სტუდენტთა ხელშეწყობა მუნიციპალური ვაუჩერით, სტიპენდიით. (გამოკითხულთა 65%). მათ შორის ამ საკითხს სხვასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს დევნილთა ჯგუფი (მათი 76%). ასევე ახალგაზრდების ჯგუფი (მათი 76%). მეორე საკითხად არჩეული იქნა დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება - 64%. ეს საკითხი ყველაზე აქტუალურია სოციალურად დაუცველთა ჯგუფისთვის (მათი 88%), იგპ-თა ჯგუფისთვის (მათი 68%), ახალგაზრდებისათვის (ჯგუფის 62%).

ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა, როგორც თვითმმართველობის ახალგაზრდული და გენდერული პოლიტიკის გამოხატულება, დაასახელა გამოკითხულთა 60%-მა. მათ შორის იგპ ჯგუფის 88%; ახალგაზრდების ჯგუფის 64%. კვალიფიციური სტაჟირების პროგრამების დაფინანსება აირჩია მონაწილეთა 35.5%-მა. საკითხი ყველაზე აქტუალური გამოდგა ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის 76%-ისთვის.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს ადგილობრივი სექტორთშორისი თანამშრომლობა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების დასახმარებლად. გამოკითხულთა 55.5%-მა ნაკლებადდამაკმაყოფილებლად შეაფასა აღნიშნული თანამშრომლობა (მათ შორის სოციალურად დაუცველების ჯგუფის 74%-მა). არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო აღნიშნულმა თანამშრომლობამ გამოკითხულთა 26.5%-ის მხრიდან. საკითხს უფრო კრიტიკულად უყურებს ახალგაზრდების 44.5% და ეთნიკური უმცირესობების 34%. სხვადასხვა უწყების ძალისხმევა ერთობლივი

საქმიანობისათვის დადებითად შეაფასა გამოკითხულთა მხოლოდ 18%-მა. მათ შორის ყველაზე ცოტა იყო დევნილი (6%).
კვლევა შეეხო სამიზნე ჯგუფების დამოკიდებულებას, თუ რომელი სტრუქტურები უნდა იყვნენ უფრო აქტიურად ჩართულნი ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკის, ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებში. პასუხებში ყველაზე ხშირად ფიგურირებდა სოციალური სამსახურები- 70%. აღნიშნული პასუხი ყველაზე ხშირად დააფიქსირეს ახალგაზრდებმა (84%), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა (76%). შემდგომად დასახელდა სახალხო დამცველი - 51%. ყველაზე ხშირად იგპ-თა ჯგუფში (60%).
არასამთავრობო სექტორი დასახელებული იყო გამოკითხულთა 24%-ის მიერ. მათ შორის იყო ახალგაზრდების ჯგუფის 50%, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის 16%. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც მნიშვნელოვანი რგოლი ძალადობის პრობლემაზე რეაგირებისათვის, დასახელდა გამოკითხულთ 28.5%-ის მიერ. პასუხი ყველაზე ხშირად აირჩია ახალგაზდების ჯგუფმა (50%).

ჩატარებულმა თვისობრივმა და რაოდენობრივმა კვლევამ თვალსაჩინო გახადა არჩეული სამიზნე ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებები და მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა, შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შესამუშავებლად ამ საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვისათვის.

<u>კვლევის შედეგად გაკეთდა დასკვნები</u>

- საჭიროაოზურგეთის მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკის განვითარება, რომლის ჩანასახები უკვე არსებობს.ასევე მოქალაქეთა მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.
- დგასფერმერული მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი, კონკრეტული პროგრამების შემუშავების და დანერგვის საკითხი ადგილობრივი თემის საჭიროებებზე მორგებით (ჩაი, სუბტროპიკული კულტურების აღორძინება, ხილის გადასამუშავებელი საწარმოები, თხილის მიმღები პუნქტები და ა.შ.).
- აუცილებელია ქალთა დასაქმების შესაძლებლობების განვითარებისთვის ტრადიციული ადგილობრივი დარგების აღორძინება და ინვესტირება.
- ახალგაზრდების მიგრაციის პრევენცია თემში მათი განვითარების პროგრამების დანერგვით. მათი ინიციატივების წახალისებითა და მხარდაჭერით.
- ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარებისათვის აუცილებელია შესაბამისი პროგრამების ინტეგრირება ადგილობრივ ბიუჯეტში. პრობლემის გარშემო ინფორმაციის გავრცელება.
- შესაძლებელია რეგიონში მოღვაწე ბიზნესმენების მოტივირება „ოჯახების დახმარების ფონდის“ შესაქმნელად.
- არის რესურსი ბიუჯეტის შედგენაში ქალებისა და კაცების, სხვა სოციალური ჯგუფის თანაბარი მონაწილეობისათვისბიუჯეტის პროექტის განხილვებში გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

- სასურველია ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურად საშიში დაავადებების, მაგალითად „ც“ ჰეპატიტის გამოვლენის პროგრამის, ასევე სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში ჭიებით ინვაზიის პროგრამების დაფინანსება.
- დღის წესრიგში დგას შშმ პირთა დღის ცენტრში გამაჯანსაღებელი პროგრამების დანერგვის, აღნიშნულ კონტიგენტთან სამუშაოდ სპეციალისტების გადამზადების საკითხი.
- უნდა მოხდეს სოციალური პროგრამების გადახედვა და მათი კორექტირება საჭიროებათა კვლევის საფუძველზე.არის ბიუჯეტში არსებულ პროგრამებში შშმ პირების, იგპ ჯგუფების ინტერგირების საჭიროება.
- არსებობს მცირე ბიზნენის წახალისების და მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების აუცილებლობა, რითაც ხელი შეეწყობა ბიზნესის განვითარებას და შეიქმნება სამუშაო ადგილები.
- გამოიკვეთა კულტურული პროგრამების ხელშეწყობის აუცილებლობა. მათ შორის სოფლებში საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა.